

2013 წლის საკრედიტო არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასწარჩვენო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში





საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

2013 წლის საკრედიტო არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

(4 ივლისი – 12 ნოემბერი, 2013 წელი)
20 დეკემბერი, 2013 წელი



National Endowment
for Democracy
Supporting freedom around the world



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სადამკვირვებლო მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა ფონდ „ოპი საზოგადოება – საქართველო“ (OSGF), „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED), ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID), საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით. ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.



აინუო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,
ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2013, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

| | |
|--|----|
| 1. წინასიტყვაობა | 5 |
| 2. მოკლე მიმოხილვა | 5 |
| 3. სადამკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია | 9 |
| 4. პოლიტიკური კონტექსტი | 11 |
| 5. საკანონმდებლო ჩარჩო | 11 |
| 6. უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის | 13 |
| 7. საარჩევნო ადმინისტრაცია | 16 |
| 8. ამომრჩეველთა სიაზი | 21 |
| 9. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია | 23 |
| 10. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება | 26 |
| 11. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი | 27 |
| 11.1. სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის | 27 |
| 11.2. ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები | 29 |
| 11.3. წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა | 32 |

| | |
|--|----|
| 11.4. ზენოლისა და მუქარის ფაქტები | 33 |
| 11.5. სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები | 35 |
| 11.6. წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელშეშლის ფაქტები | 37 |
| 12. მადლიაგარემო | 40 |
| 13. კანჭისყრის დღე | 44 |
| 14. არჩევნების შემდგომი პერიოდი | 49 |
| 15. რეზიუმე/დასკვნა | 57 |
| 16. რეკომენდაციები | 62 |

1. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით, საია დაფუძნებიდან (1994 წელი) დღემდე აქტიურად არის ჩართული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მონიტორინგის პროცესში.

ორგანიზაციის ძირითად მიზანს წარმოადგენს საარჩევნო კანონმდებლობისა და საერთაშორისოდ დადგენილი დემოკრატიული სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო სუბიექტებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან. საარჩევნო პერიოდში საიას საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევების გამოვლენით, არამედ, საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოში საჩივრების წარდგენის გზით, ორგანიზაცია ცდილობს, ხელი შეუწყოს საარჩევნო კანონმდებლობის პროგრესული განმარტების დანერგვას, დამრღვევთა წინააღმდეგ სამართლებრივი ზომების გატარებასა და საარჩევნო დარღვევების შემდგომ პრევენციას.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროცესებზე დაკვირვება განხორციელდა ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში – ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2013 წლის 4 ივლისიდან 12 ნოემბრის ჩათვლით პერიოდს და მასში ყურადღება გამახვილებულია წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ საჩივრების განხილვისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე.¹

2. მოკლე მიმოხილვა

2013 წლის 4 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი გამოაცხადა. არჩევნები 27 ოქტომბერს დაინიშნა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მაქსიმალურად დემოკრატიულ გარემოში ჩატარება ხელისუფლების მიერ გაცხადებულ პრიორიტეტს წარმოადგენდა.

4 ივლისიდან წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო. აღნიშნული თარიღიდან საქართველოს

¹ წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვება საიამ 2013 წლის 4 ივლისიდან დაიწყო და წინასაარჩევნო გარემო არჩევნების წინ, 24 ოქტომბერს, შუალედურ ანგარიშში შეაფასა. <http://gyila.ge/uploads/-20137.pdf>

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საარჩევნო პროცესებზე დაკვირვებას თბილისსა და შვიდ რეგიონში საიას რეგიონული ოფისების მეშვეობით ახორციელებდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა-საარჩევნო კამპანია მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. პრეზიდენტობის კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული კამპანია ეწარმოებინათ. აღნიშნულ პერიოდში, გასულ არჩევნებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები დარღვევა დაფიქსირდა.

პრეზიდენტობის კანდიდატობის სურვილი 50-ზე მეტმა პირმა გამოთქვა. დაფიქსირდა კანდიდატთა წარმდგენი საინიციატივო ჯგუფების აქტიურობაც. მართალია, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, თუმცა, პროცესთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემური საკითხები გამოვლინდა, როგორცაა პრეზიდენტობის კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული მოთხოვნების დაზუსტების აუცილებლობა; ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის საკითხი; კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული სტანდარტების გამოყენების თანმიმდევრულობის პრობლემა. ცესკომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უარი უთხრა საარჩევნო რეგისტრაციაზე.

2013 წლის 7 მარტს, საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც მაისის ბოლომდე შვიდ საკითხზე პოზიციები უნდა შეეჯერებინა და კანონპროექტების პარლამენტში ინიცირება მოეხდინა. თუმცა, პოზიციების შეჯერება ჯგუფმა ძირითადად სამი თემის – საარჩევნო სიების, პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის ირგვლივ შეძლო.

2013 წლის 27 ივლისს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და დარღვევების პრევენციის მიზნით მუშაობდა.

2013 წელს განხორციელებული საარჩევნო ცვლილებების მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არ შეცვლილა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით არჩეული წევრებისა, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრებით დაკომპლექტდა.

2013 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატი- იშვილმა თანამდებობა დატოვა და საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა. სამოქალაქო ორგანიზაციებმა, მათ შორის საიამ, ცესკოს თავმჯდომარის პოსტზე თამარ ჟვანიას კანდიდატურა დაასახელეს, რომელიც, პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე, ცესკოს თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების საარჩევნო უფლების საკითხი საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა. განისაზღვრა რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების ხელახალი რეგისტრაციის წესი და აღნიშნული პროცესი გამარტივდა.

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, მედიის მდგომარეობა გარკვეული თვალსაზრისით გაუმჯობესდა. განსხვავებით გასული წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისაგან, ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელშემშლის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი მხოლოდ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. თუმცა, პრობლემები რჩება მედია საშუალებების პოლიტიკური ზეგავლენისაგან გათავისუფლების კუთხით.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას მონიტორების მიერ დაფიქსირდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში მიმდინარე საკადრო ცვლილებები, რომლებიც არაერთ შემთხვევაში უკანონო სახეს ატარებდა.

წინასაარჩევნო შეხვედრებმა უმეტესწილად მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა, ადგილი ჰქონდა ხელშემშლის ფაქტებსაც, რომლებიც პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას მონიტორების მიერ დაფიქსირდა: სავარაუდო პოლიტიკური ზენოლის **9** ინციდენტი; წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის **5** ინციდენტი; ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის **5** ინციდენტი; მედიის საქმიანობაში ხელშემშლის **1** ფაქტი;² წინასაარჩევნო კამპანიის ხელშემშლის

² აღსანიშნავია, რომ ხელშემშლის კიდევ ერთ ფაქტზე საუბარია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ანგარიშში: „შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის“ ჟურნალისტიკისა და „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელზე — ირმა კიტრიაშვილზე საკრებულოს წევრები ინტენსიურ ზეწოლას ახდენდნენ.“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში, 20 ივლისი-4 აგვისტო, 2013.

5 ფაქტი; სამსახურიდან გათავისუფლების რამდენიმე მასიური³ და ინდივიდუალური შემთხვევა. ინფორმაცია აღნიშნული ფაქტების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას, რომელმაც კონკრეტული რეკომენდაციები გასცა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურობით არ გამოირჩეოდა. აღნიშნული გარემოება ამ უწყების ეფექტური მუშაობის კუთხით გარკვეულ კითხვებს აჩენდა.

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, საიამ საარჩევნო ადმინისტრაცი-აში 4 განცხადება წარადგინა,⁴ რომელთაგან მხოლოდ 1 დაკმაყოფილდა.⁵ გარდა ამისა, საიამ სასამართლოში წარადგინა სარჩელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გაზრდის გამო.⁶ ორგანიზაცია ასევე იცავდა ორმაგი მოქალაქეობის მქონე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებად დასახელებული პირების – სალომე ზურაბიშვილისა და ზურაბ ნინუაშვილის ინტერესებს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში. წინასაარჩევნო პერიოდში საიამ 9 განცხადება წარადგინა უწყებათაშორის კომისიაში,⁷ რომელმაც, განცხადებაში მოყვანილი ინფორმაციების საფუძველზე, მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა, ხოლო ერთ საქმეზე გამოძიება დაიწყო.⁸ იმავე პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე საიამ 4 განცხადება წარადგინა. ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდში მიღებული ზომების თაობაზე არ მომხდარა ორგანიზაციის ინფორმირება.

³ საუბარია 13 შტატის გაუქმებაზე თბილისის საკრებულოში და რეორგანიზაციის პროცესზე ქუთაისის მერიაში – გათავისუფლდა 89 პირი.

⁴ 2 განცხადება შეეხებოდა სავარაუდოდ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტს, 2 განცხადება – აგიტაციაში უკანონო მონაწილეობას.

⁵ ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიამ სამართალდარღვევის ოქმი შეადგინა და საქმე შესასწავლად სასამართლოს გადაუგზავნა.

⁶ საიამ სარჩელი სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად წარადგინა. ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის საიამ საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიმართა.

⁷ რეაგირების შესახებ დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ უწყებათაშორისი კომისიის 1 თვის საქმიანობის ანგარიშში (19.08.2013-30.09.2013).

⁸ ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფლის რწმუნებულის უკანონო გათავისუფლების ფაქტი.

კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიებში საიას დამკვირვებლებმა **33** საჩივარი წარადგინეს და **50** შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა ნიგნში. საჩივრების უმეტესი ნაწილი ტექნიკური ხასიათის დარღვევებს შეეხებოდა, რომლებსაც არ შეეძლო, გავლენა მოეხდინა უბანზე დაფიქსირებულ შედეგებზე.

კენჭისყრის დღის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში სულ წარდგენილ იქნა **153** საჩივარი, სასამართლოში – **3** სარჩელი. საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი **153** საჩივრიდან **72** – სრულად, **38** კი – ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლოებში წარდგენილი **3** სარჩელიდან სრულად დაკმაყოფილდა **1** ადმინისტრაციული სარჩელი, **1** სარჩელი – ნაწილობრივ, ხოლო **1** – არ დაკმაყოფილდა.

3. სადამაკვირვებლო მისიის მასშტაბი და მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების **წინასაარჩევნო პროცესების დაკვირვებას** ცენტრალური და რეგიონული ოფისების მეშვეობით საქართველოს შვიდ რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და თბილისში 17 მონიტორის მეშვეობით ახორციელებდა.

საიას მონიტორები ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებდნენ, მათ შორის, საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის საშუალებით, ასევე, მასშედით გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის გზით.⁹ ხშირად მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიის წევრები საიას მონიტორებს თავად აწოდებდნენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული დარღვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას დამკვირვებლები თითოეულ შემთხვევას უშუალოდ განმცხადებლებთან ამონებდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების დამკვირვებლების მონიტორინგი განახორციელა.¹⁰

⁹ ცენტრალური და რეგიონული პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები, ინტერნეტ გამოცემები.

¹⁰ საიას კვლევის საგანს წარმოადგენდა: სახდელდადებულ პირთა შესახებ ცესკოს მიერ შექმნილი მონაცემთა ბაზის მონიტორინგი; 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სახდელდადებულ პირების მონაწილეობა; 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პროფესიული ნიშნით არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შემადგენლობის შესწავლა. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის კვლევის მიზნით, მონიტორინგის საგანს

კენჭისყრის დღეს უბნებზე მივლენილი და მობილურ ჯგუფებში გადანაწილებული დამკვირვებლების მემ-
ვობით, საია დაკვირვებას **36** საარჩევნო ოლქსა და საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე ახორციელებდა.¹¹
კენჭისყრის დღეს საიამ დაკვირვება **400-ზე** მეტი დამკვირვებლის მემშვეობით განახორციელა. მათ შორის,
საია წარმოდგენილი იყო **275** უბნის, **72** ოლქის, **3** ცეკსოს და **61** მობილური ჯგუფის დამკვირვებლით.

თბილისში საია **107** დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი. თბილისის ცალკეულ უბნებზე განაწილებული
იყო **87** დამკვირვებელი, რომლებსაც დახმარებას უწევდნენ ე.წ. მობილური ჯგუფები. **საქართველოს სხ-
ვადასხვა რეგიონში** საარჩევნო უბნებზე დაკვირვებას ახორციელებდა საიას **188** დამკვირვებელი. ორგა-
ნიზაცია **2** დამკვირვებლით იყო წარმოდგენილი საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე.

საიამ, ძირითადად, დაკვირვება განახორციელა გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ უბნებში, უმცირესო-
ბებით დასახლებულ ოლქებში არსებულ უბნებსა და წინა არჩევნების დროს გამოკვეთილ პრობლემურ უბ-
ნებში.

კენჭისყრის დღეს ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ დაფუძნებულ **მედიაცენტრში**
საიამ 4 ბრიფინგი გამართა. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს
მიეწოდათ ინფორმაცია შესაბამისი საათისათვის ასოციაციის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული და
ცხელ ხაზზე შემოსული დარღვევების შესახებ. საიაში მთელი დღის განმავლობაში ფუნქციონირებდა ცხ-
ელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც, მოქალაქეებს შეეძლოთ, მოეწოდებინათ ინფორმაცია საარჩევნო დარ-
ღვევების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას ადგილზე გასვლით
ახდენდა შესაბამისი მობილური ჯგუფი.

არჩევნების შემდგომ პერიოდში 36 საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში
მუდმივად იმყოფებოდნენ საიას დამკვირვებლები.

წარმოადგენდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პროფესიული ნიშნით არჩეული საუბნო საარჩევნო
კომისიის წევრების შემადგენლობის შესწავლაც იმის დასადგენად, თუ რამდენად იყვნენ მათ შორის 2012 წლის
საპარლამენტო და შუალედურ არჩევნებზე პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული წევრები.

¹¹ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას საია შემდეგ საარჩევნო ოლქებში აკვირდებოდა:
მთანმინდა, ვაკე, საბურთალო, კრწანისი, ისანი, სამგორი, ჩუღურეთი, დიდუბე, ნაძალადევი, გლდანი, ქუთაისი,
წყალტუბო, ბაღდათი, სამტრედია, თერჯოლა, ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ქედა, ფოთი, მარტვილი, ოზურგეთი,
ლანჩხუთი, ჩოხატაური, გორი, ხაშური, ქარელი, კასპი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, თელავი, გურჯაანი,
საგარეჯო, დუშეთი. ასევე — დიდ ბრიტანეთსა (ლონდონი) და გერმანიაში (ბერლინი).

4. პოლიტიკური კონტაქსტი

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა, რომელიც ექვს დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიას აერთიანებს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები პირველი საერთო არჩევნები იყო, რომელიც ახალი ხელისუფლების პირობებში უნდა ჩატარებულიყო. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თვისობრივად უკეთეს, გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარება ახალი ხელისუფლების სამოქმედო გეგმას წარმოადგენდა.

2010 წელს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედება უნდა დაეწყო ახალ რეგულაციებს, რომლებიც არსებითად ცვლიდა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის როლსა და ფუნქციებს. პრეზიდენტის ინსტიტუტის შესუსტების ფონზე ძლიერდებოდა პარლამენტის ინსტიტუტი. პრემიერ-მინისტრი უფრო მეტი უფლებამოსილებით იქნებოდა აღჭურვილი და მას გადამწყვეტი როლი ექნებოდა ქართულ პოლიტიკაში. იგი პრეზიდენტისაგან დამოუკიდებლად ჩამოაყალიბებდა მთავრობას და ანგარიშვალდებული იქნებოდა მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე.

5. საკანონმდებლო ჩარჩო

2013 წლის 7 მარტს საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც მაისის ბოლომდე შვიდ საკითხზე პოზიციები უნდა შეეჯერებინა და კანონპროექტების პარლამენტში ინიცირება მოეხდინა. თუმცა, პოზიციების შეჯერება ჯგუფმა ძირითადად სამი თემის – საარჩევნო სიების, პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსებისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის ირგვლივ შეძლო. საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების საკითხების განხილვა კი გადაიდო.

ინტერფრაქციული ჯგუფი სხდომებს ღიად წარმართავდა, დაინტერესებულ პირებს ჯგუფის საქმიანობაში ჩართვა და კონკრეტულ საკითხებზე პროექტებისა და მოსაზრებების წარდგენა შეეძლოთ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, გახანგრძლივდა კონკრეტული საკითხების განხილვა და მათზე პოზიციების შეჯერება. ჯგუფმა საჯარო შეხვედრები თითქმის ორთვიანი ინტერვალის შემდეგ წამოიწყო, ფაქტობრივად მაშინ, როცა შვიდივე საკითხზე პოზიციების შეჯერება დასრულებული უნდა ჰქონოდა. შედეგად, დანარჩენი დაგეგმილი საკითხების განხილვა ვეღარ მოესწრო.

საია აქტიურად იყო ჩართული ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის პროცესში და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჯგუფს ოთხ მნიშვნელოვან თემაზე რეკომენდაციები და მუხლობრივი ფორმულირებები შესთავაზა. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. თუმცა, სამწუხაროდ, რიგი საკითხები არ იქნა გათვალისწინებული ან განხილვის გარეშე დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარდგენა ადრეულ ეტაპზე მოხდა.

საიას მიერ წარდგენილი რეკომენდაციები მოიცავდა ისეთ თემებს, როგორცაა: ამომრჩეველთა სიები; წინასაარჩევნო კამპანია, ადმინისტრაციული რესურსის და საბიუჯეტო თანხების გამოყენება; „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებები, მედია რეგულაციები. მოგვიანებით, საიას წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთნენ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტების საჯარო განხილვებში, რა დროსაც საიამ მოსაზრებები პარლამენტს ოფიციალური განხილვების გათვალისწინებითაც წარუდგინა.

ინტერფრაქციული ჯგუფისაგან განსხვავებით, საქართველოს პარლამენტში კანონპროექტების საჯარო განხილვების დროს საიას წარმომადგენლებს ჯანსაღი ოპონირების შესაძლებლობა არ მიეცათ. განსაკუთრებული კრიტიკის ქვეშ საიას წარმომადგენლები მაშინ ექცეოდნენ, როდესაც ისინი იმ საკითხების თაობაზე იწყებდნენ საუბარს, რაც ინიცირებულ პროექტებში ასახული არ იყო.

მიუხედავად ამისა, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული და პარლამენტში ინიცირებული პროექტები ძირითადად საიასა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარდგენილ რეკომენდაციებს ეფუძნება. გათვალისწინებული რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია ამომრჩეველთა სიის ფორმირებაზე პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა, პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობის შემოღება თანამდებობრივ მდგომარეობასთან; ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაზე ორგანიზატორის მიერ აგიტაციის აკრძალვა; იურიდიული პირებისათვის პარტიების დაფინანსების უფლების აღდგენა; პოლიტიკური დაფინანსების დარღვევებისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციების შემცირება ხუთმაგიდან ორმაგ ოდენობამდე; ფიზიკური პირის ფინანსების შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ინფორმაციის მხოლოდ სასამართლოს გზით გამოთხოვნის შესაძლებლობის დადგენა; ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის, ყადაღის წარმოებისა და გასაჩივრების ვადების მოწესრიგება.

დადებითად უნდა შეფასდეს რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველების ხელახალი რეგისტრაციის წესის განსაზღვრა და რეგისტრაციის პროცესის გამარტივება.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მაღალი სტანდარტების საარჩევნო კანონმდებლობის შექმნას აპირებდა, მოგვიანებით, მხოლოდ ივლისის თვეში გაცხადდა, რომ საარჩევნო რეფორმის კუთხით საქართველოს პარლამენტი არსებითი ხასიათის ცვლილებების მიღებას არ აპირებდა.¹² შედეგად, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით კვლავაც პრობლემად რჩება ისეთი საკითხების მონესრიგება, როგორიცაა საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, სახელმწიფო და პარტიული რესურსების მკვეთრად გამიჯვნა, ამომრჩევლის მოსყიდვის რეგულაციები; სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა, საარჩევნო დავები, გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი უბნები (სპეც-უბნები).

ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტში 2013 წლის 27 ივლისს შეტანილი ცვლილება, რომელიც საბიუჯეტო თანხების საარჩევნო მიზნებით გამოყენების შეზღუდვას ეხება. აღნიშნული ცვლილებებით, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა წინასაარჩევნო პერიოდში შეიძინა, პარლამენტი შეეცადა, ერთგვარად, კანონიერი სახე მიეცა წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ზრდისათვის, რაც ცვლილებების განხორციელებამდე აკრძალულ ქმედებას წარმოადგენდა.

6. უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის

2013 წლის 27 ივლისს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა.¹³

კომისიას მიენიჭა უფლებამოსილება, განეხილა საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით მედიით გავრცელებული, აგრეთვე, პოლიტიკური გაერთიანებებისა (საარჩევნო სუბიექტების) და დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ კომისიისათვის მიწოდებული ინფორმაცია, ხოლო დარღვევის დადასტურების

¹² საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება. 09.07.2013 წელი.
<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/21420/>

¹³ ცვლილებებამდე კომისია იმავე მანდატით საქართველოს უშიშროების საბჭოსთან ფუნქციონირებდა.

შემთხვევაში, რეკომენდაციით მიემართა ნებისმიერი საჯარო მოსამსახურის, ადმინისტრაციული ორგანოს ან ცესკოსთვის, გონივრულ ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით განისაზღვრა კომისიის ახალი შემადგენლობა და დამტკიცდა კომისიის დებულება. კომისიას სათავეში იუსტიციის მინისტრი ჩაუდგა. კომისიის შემადგენლობა კი ცხრა სამინისტროს წარმომადგენლით განისაზღვრა (თითოეულ სამინისტროს მინისტრის მოადგილეები წარმოადგენდნენ).

საქმიანობის ფარგლებში კომისია სხდომებს კვირაში ერთხელ მართავდა, რომელსაც ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, დამკვირვებლები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. ინფორმაციის მიღების მიზნით, კომისიაში ამოქმედდა ცხელი ხაზი, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობდა.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ უწყებათაშორისმა კომისიამ ხელი მოაწერა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მემორანდუმს, რომელიც ცესკოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საიას მიერ შემუშავდა.

უწყებათაშორისი კომისიის სხდომები ზოგჯერ არაკონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა. ცხარე დისკუსიის საგანი ხდებოდა კომისიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის სიტყვით გამოსვლა, რომელიც არაერთხელ აღმოჩნდა კომისიის თავმჯდომარისა და სხდომაზე დამსწრე პირების¹⁴ განსაკუთრებული კრიტიკის ობიექტი. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კომისიის სხდომებზე დასწრება შეწყვიტა, თუმცა, დარღვევების თაობაზე კომისიის ინფორმირებას წერილობით ახორციელებდა.

საქმიანობის ფარგლებში უწყებათაშორისი კომისია ყველა საჯარო უწყებასა და საჯარო მოსამსახურეს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის ყველაზე მაღალი სტანდარტების დაცვისაკენ მოუწოდებდა. წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისად, უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაციით არაერთგზის მიმართა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, პოლიტიკურ გაერთიანებებს, სამინისტროებს და სხვა საჯარო დაწესებულებებს. რეკომენდაციები დროული და ადეკვატური იყო, თუმცა, დარღვევათა პრევენცია ყოველთვის ვერ ხდებოდა.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ კომისიის მუშაობის შედეგად, სამინისტროებისა და ადგი-

¹⁴ სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლების მხრიდან.

ლობრივი თვითმმართველობების შიგნით შეიქმნა დოკუმენტები, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეთა უფლებებსა და ვალდებულებებს განმარტავდა. კომისიამ აგიტაციისა და აგიტაციაში მონაწილეობის ცნებები განმარტა, ასევე, დაადგინა წინასაარჩევნო ღონისძიებების მიმდინარეობისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ქცევის წესები. კომისია საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისგან ინფორმაციის მიღებას ითხოვდა, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით დაგეგმილ შეხვედრებზე დარღვევების პრევენცია მოეხდინა. საანგარიშო პერიოდში კომისიამ სულ 16 რეკომენდაცია გამოსცა.¹⁵

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოსამსახურეების მხრიდან საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით, საიამ უწყებათაშორის კომისიაში 9 განცხადება წარადგინა და კომისიის მხრიდან შესაბამისი რეაგირება ითხოვა ისეთ ფაქტებზე, როგორცაა საჯარო მოსამსახურეთა მიერ, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება; ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა მიმართ განხორციელებული უკანონო ქმედებები; ადგილობრივი თვითმმართველობის საკადრო საკითხებში ჩარევა; ადგილობრივი მედიის საქმიანობის შესაძლო შეზღუდვა; ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვა და სხვა.

უწყებათაშორისმა კომისიამ საიას მიერ წარდგენილ განცხადებებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსის რეკომენდაციები გამოსცა, ხოლო ასპინძის მუნიციპალიტეტში შესაძლო კანონდარღვევასთან დაკავშირებით – სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის ფაქტზე – მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. თუმცა, ქარელის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მიმართ განხორციელებული ზენოლის ფაქტი რეაგირების გარეშე დარჩა და, კომისიის გადაწყვეტილებით, წარდგენილი ინფორმაცია უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული.¹⁶

საიას მიერ წარდგენილი განცხადებებიდან აღსანიშნავია განცხადება რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით. კერძოდ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების სიის მათი პირადი მონაცემებით გამოქვეყნება საიამ დარღვევად მიიჩნია და სიის გამოქვეყნება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით – პირადი ნომრების მითითების გარეშე მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ პირადი მონაცემებით ამომრჩეველთა სიის გამოქვეყნება უწყებათაშორისმა კომი-

¹⁵ საიამ და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გამოავლინეს და კომისიას მიაწოდეს შესაბამისი ინფორმაცია ადგილობრივ თვითმმართველობებში ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

¹⁶ დეტალური ინფორმაცია რეაგირებების თაობაზე ასახულია უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშში. (19.08.2013-30.09.2013); <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fangarishi%2FIAATF%20report%2019%20Aug-30%20Sept.%20GEO.pdf>

სიამ დარღვევად არ მიიჩნია. კომისიის აზრით, სახელმწიფო უწყების მხრიდან ამგვარი „ჩარევა“ კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენდა და მას ლეგიტიმური მიზანი ჰქონდა.¹⁷

საერთო ჯამში, უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობა დადებითად უნდა შეფასდეს. უწყება მოწოდებული იყო წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და დარღვევების პრევენციისაკენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოსამსახურეთა მონაწილეობის წესის დაზუსტებისა და ჩამოყალიბების კუთხით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ის ტენდენცია, რაც თან სდევდა კომისიის საქმიანობას. მართალია, კანონმდებლობით აკრძალული არ არის, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კომისიის მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანი იქნება, მომავალში კომისიის წევრებმა თავი შეიკავონ რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ/საინანაღმდევოდ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისგან, ასევე, უზრუნველყონ კომისიის სხდომების წარმართვა მაქსიმალურად კონსტრუქციულ გარემოში, რაც საშუალებას მისცემს განსხვავებული შეხედულებების მქონე პირებს, გამოხატონ აზრი იმ დარღვევების თაობაზე, რომლის ირგვლივაც შესაძლოა კომისიას განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეს.

7. საარჩევნო ადმინისტრაცია

2013 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არ შეცვლილა. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრებისა, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის – კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრებით დაკომპლექტდა. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი და იქ არსებულ ძალთა გადანაწილება არაერთგზის გახდა სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების კრიტიკის ობიექტი.¹⁸ წინასაარჩევნო პერიოდში შეიცვალა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევნის წესი, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნად მხოლოდ ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებების მიერ დანიშნული წევრის არჩევას ითვალისწინებდა.¹⁹ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა ამჟამად ზოგადი წესით არის შესაძლებელი, რაც გულისხმობს იმას, რომ კომისიის თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა, გახდეს მდივანი.

¹⁷ <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fangarishi%2FIATF%20report%2019%20Aug-30%20Sept.%20GEO.pdf>.

¹⁸ <http://www.tabula.ge/ge/story/74801-xuti-politikuri-partia-sadamkvirvelo-organizaciebs-mimartavs>

¹⁹ 25-ე მუხლის მე-15 პუნქტი.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიების კომპლექტების მონიტორინგი განახორციელა. საიას კვლევის საგანს წარმოადგენდა: სახდელდადებულ პირთა შესახებ ცესკოს მიერ შექმნილი მონაცემთა ბაზის მონიტორინგი; 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სახდელდადებული პირების მონაწილეობა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებში; 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პროფესიული ნიშნით არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შემადგენლობის შესწავლა.²⁰

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის მონიტორინგის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:²¹

- სახდელდადებულ პირთა შესახებ ცესკოს მიერ წარმოებული მონაცემები არ არის სრულყოფილი.²²
- რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა განმეორებით არჩევას/დანიშვნას.²³
- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ადგილი აქვს იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში წარმოადგენდნენ სხვადასხვა პარტიას საარჩევნო ადმინისტრაციაში.

²⁰ პროფესიული ნიშნით არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შემადგენლობის კვლევის მიზნით შერჩეულ იქნა ქუთაისის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, გორის, ბათუმის, ქედას, ქობულეთის, შუახევის, ხულოს, თელავის, რუსთავისა და დუშეთის საოლქო საარჩევნო ადმინისტრაციები.

²¹ ცესკოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის შუალედურ არჩევნებზე 471 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს შეეფარდა დისციპლინური სახდელი (შენიშვნა/გაფრთხილება), ხოლო 4 წევრს – ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა).

²² ცესკოს მიერ აღრიცხული სახდელდადებული პირების სტატისტიკური მონაცემები არ ემთხვევა საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებულ მსგავსი ტიპის მონაცემებს. ოლქებიდან მიღებული დამატებითი მონაცემების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2012 წლის არჩევნებზე 39 სახდელდადებული კომისიის წევრის შესახებ ინფორმაცია არ იყო ასახული ცესკოს მონაცემთა ბაზაში. მათ შორის, ჯარიმა – 30; უფლებამოსილების შეწყვეტა – 1; შენიშვნა – 8.

²³ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დისციპლინურ სახდელდადებული პირებიდან საუბნო საარჩევნო კომისიაში არჩეულ იქნა 51 პირი. მათ შორის, 9 წევრი ქობულეთის, 2 წევრი შუახევის, 2 – ბათუმის, 12 – ხულოს, 2 – საბურთალოს, 1 – ნაძალადევის, 1 – გლდანის, 2 – ლაგოდეხის, 2 – მარნეულის, 2 – დმანისის, 2 – დუშეთის, 1 – კასპის, 1 – გორის, 3 – ლენტეხის, 3 – მესტიის, 4 – ქუთაისის, 1 – აბაშის, 1 – სენაკისა და 1 – წალენჯიხის საარჩევნო ოლქში.



პროფესიული ნიშნით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიების მიერ დანიშნული წევრებიდან



www.gyla.ge

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს დისციპლინურ სახდელდადებულ პირთა განმეორებით არჩევას/დანიშვნას საარჩევნო ადმინისტრაციების შემადგენლობაში და არც იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საარჩევნო კომისიებში, რომლებიც სხვა არჩევნებზე პოლიტიკური გაერ-

თიანებების ნდობით აღჭურვილ პირებს წარმოადგენდნენ, აღნიშნულმა შესაძლოა გარკვეულწილად მაინც იქონიოს გავლენა მათ მიუკერძოებელ და ობიექტურ საქმიანობაზე, რაც უარყოფითად აისახება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობაზე და, ზოგადად, მისი ნდობის ხარისხზე.

უბნების დაკომპლექტების დაწყებამდე საიამ წერილობით მიმართა 73 საოლქო საარჩევნო კომისიას, რათა საუბნო საარჩევნო კომისიებში არ აერჩიათ/დაენიშნათ ის პირები, რომელთაც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო დაეკისრათ ჯარიმა ან შეუწყდათ კომისიის წევრის უფლებამოსილება;²⁴ ხოლო რეკომენდაციით მიმართა საოლქო კომისიებს, რათა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დისციპლინურ სახდელდადებული პირები განმეორებით არ აერჩიათ საარჩევნო ადმინისტრაციაში. საიას მოსაზრებით, საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებისას, სასურველი იქნებოდა, აღნიშნულ შემთხვევებში უპირატესობა მიენიჭებინათ სანდო რეპუტაციისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა ძირითადად გაითვალისწინეს საიას რეკომენდაციები, თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დისციპლინურ სახდელდადებული პირები კვლავ აირჩიეს საუბნო საარჩევნო კომისიებში.

2013 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა თანამდებობა დატოვა, რაც საარჩევნო პროცესის ადმინისტრირების შემაფერხებელ გარემოებად იქნა აღქმული.²⁵ ვინაიდან თანამდებობის დატოვების შემდეგ ზურაბ ხარატიშვილი პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა, მისი მხრიდან ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტა, ერთი მხრივ, პრობლემას წარმოადგენდა არჩევნების ადმინისტრირების კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეულ კითხვებს ბადებდა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ ინტერესთა კონფლიქტის თვალსაზრისით.²⁶ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე

²⁴ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 24-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს: ა) პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიებმა ან სასამართლომ გაათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან; ბ) პირი, რომლის მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა დაადასტურა სასამართლომ.

²⁵ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში, თბილისი, საქართველო, 6 სექტემბერი, 2013 გვ. 6.

²⁶ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში, თბილისი, საქართველო, 6 სექტემბერი, 2013, გვ. 6.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის საიამ, 2013 წლის 23 აგვისტოს ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე თამარ ჟვანიას კანდიდატურა წარადგინეს. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გაითვალისწინა სამოქალაქო ორგანიზაციების მოსაზრება და 2013 წლის 10 სექტემბერს თამარ ჟვანიას, მანუჩარ გამყრელიძის და კონსტანტინე ამირეჯიბის კანდიდატურები ცესკოს წარუდგინა ასარჩევად.²⁷ ასევე მისასალმებელია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად, ცესკოში მმართველი კოალიციის მიერ დანიშნულმა წევრებმა მხარი თამარ ჟვანიას კანდიდატურას დაუჭირეს. თამარ ჟვანია ცესკოს თავმჯდომარედ 2013 წლის 11 სექტემბერს იქნა არჩეული.

ცესკომ, ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანია ჩაატარა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა კენჭისყრის დღის პროცედურების შესახებ სასწავლო ფილმი გადაიღო. ცენტრალური საარჩევნო კომისია პერმანენტულად მართავდა შეხვედრებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან – არასამთავრობო სექტორის, მედიის, პოლიტიკური პარტიების, საერთაშორისო მისიებისა და დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენლებთან, ასევე, ეთნიკურ უმცირესობებთან.

2013 წლის 5 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, შვიდ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასთან ერთად, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებით ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმი მიზნად ისახავდა ადმინისტრაციული რესურსების შესახებ საარჩევნო კოდექსში არსებული მუხლების ერთგვაროვან განმარტებას.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეო გადაღების შეზღუდვის შესახებ ცესკოს დადგენილებით მიღებული რეგულაციები ცესკოსა და სხვა ჩართულ მხარეებთან ერთად განიხილა და აღნიშნული დადგენილების გაუქმება მოითხოვა. საიასა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების, მათ შორის მედია ორგანიზაციების ადვოკატირების შედეგად, 2013 წლის 16 ოქტომბერს დადგენილება შეიცვალა და მედიაზე დანესებული მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოიხსნა.

გარკვეული ქმედითი ნაბიჯების მიუხედავად, პრობლემები მაინც შეიქმნა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები და მათი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტები, ხოლო

²⁷ http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=49709&pg=1&im=main

მეორე მხრივ, ცესკო არათანმიმდევრული აღმოჩნდა ყველა იმ პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის საკითხის მიმართ, რომლებსაც ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდათ. საიას მიაჩნია, რომ ცესკოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებები ორმაგი მოქალაქეობის მქონე სხვა პირთა კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებით ეფუძნებოდა კონსტიტუციის არასწორ ინტერპრეტაციას, რაც წინასაარჩევნო პერიოდის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ საარჩევნო ადმინისტრაციაში 4 განცხადება წარადგინა. განცხადებები ეხებოდა ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვასა და წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობას; 3 განცხადება წარდგენილ იქნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში; 1 განცხადება – ოზურგეთის №60 საარჩევნო ოლქში. წარდგენილი განცხადებებიდან მხოლოდ 1 დაკმაყოფილდა.

8. ამომრჩეველთა სიახი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,537,719 (სამი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ცხრამეტი) ამომრჩეველს შეადგენდა. მათ შორის, 48,458 (ორმოცდარვა ათას ოთხას ორმოცდათვრამეტი) საზღვარგარეთ რეგისტრირებული ამომრჩეველია.

ამომრჩეველთა დასახელებული რაოდენობა 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე 76,132-ით (სამოცდათექვსმეტი ათას ას ოცდათორმეტი) ნაკლებია.²⁸

2013 წლის ივლისში ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები და დამატებები განხორციელდა, რომლის თანახმად, განისაზღვრა საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველების ხელახალი რეგისტრაციის წესი და აღნიშნული პროცესი გამარტივდა.

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ რეგისტრაციიდან მოხსნილ²⁹ იმ ამომრჩეველებს, რომლებიც 2013 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრაციას

²⁸ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,613,851 ამომრჩეველს შეადგენდა.

²⁹ ცესკოს ინფორმაციით, ასეთი ამომრჩეველების რაოდენობა 97,000 აღემატება, მათგან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დაახლოებით ნახევარმა მიიღო მონაწილეობა.

გაივლიდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო-ში. ასეთი ამომრჩეველი პირადობის ელექტრონული მონაშობის გაცემისათვის დადგენილი მომსახურების საფასურისაგან გათავისუფლდა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე პასუხისმგებელი კვლავ ცენტრალური საარჩევნო კომისია იყო.

საია წლების განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა რეგისტრაციიდან მოხსნილ პირთა საკითხის მოგვარებას მხოლოდ დროებით, არჩევნების წინ მიღებული დადგენილების სახით და მიიჩნევდა, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად უფრო სისტემური და კომპლექსური მიდგომა იყო საჭირო.³⁰ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დადებითად შეაფასა სახელმწიფოს მხრიდან ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიის წარმოება იმ მიზნით, რომ რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ სიებში საკუთარი თავის გადამონშებისა და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხელახალი რეგისტრაციის გავლის შესახებ. საია ასევე მიესალმება საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების ხელახალი რეგისტრაციის წესის განსაზღვრას და პროცესის გამარტივების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მთელი რიგი ღონისძიებები წამოიწყო მოქალაქეთა ინფორმირების გაზრდის მიზნით.³¹ დამატებით, ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების სიების საჯარო ვერსია, მათი ბოლო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოიკრა. საინფორმაციო კამპანიის შედეგად, სულ 9,100-ზე მეტმა ადამიანმა გაიარა რეგისტრაცია.³² თუმცა, რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ფორმამ გარკვეული

³⁰ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე აღნიშნული საკითხი საარჩევნო კოდექსით დარეგულირდა. კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველებს ხმის მიცემა უკანასკნელი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით შეეძლოთ. ისევე, როგორც 2010 წელს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აღნიშნული საკითხის დარეგულირებას ცენტრალური საარჩევნო კომისია დადგენილების მიღებით შეეცადა, თუმცა, დადგენილება, არასაკმარისი ხმების გამო, ვერ იქნა მიღებული.

³¹ იუსტიციის სამინისტროს სსიპ სერვისების განვითარების სააგენტომ მედიაში განათავსა შესაბამისი სარეკლამო რგოლი; რეგისტრაციიდან მოხსნილთა სია განთავსდა სსიპ-ის ვებ-გვერდზე; შეიქმნა ქოლცენტრი.

³² <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fangarishi%2FANNEX%202%20-%20Deregistered%20persons%20GEO%20and%20ENG.pdf>

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.³³ უწყებათაშორის კომისიას რეალურად მცირე დრო ჰქონდა იმისათვის, რომ ხელახლა რეგისტრაციაში გაეტარებინა ამომრჩეველი.³⁴

9. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სულ 54-მა პრეზიდენტობის მსურველმა მიმართა. აქედან 23 პირი პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა, ხოლო 31 პირს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, პროცესის ადმინისტრირების კუთხით გარკვეული პრობლემური საკითხები გამოვლინდა, კერძოდ:

ა) პრეზიდენტობის კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული მოთხოვნების დაზუსტების აუცილებლობა

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატის მიმართ რეგისტრაციის მომენტისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები არ არის ზუსტი. მოქმედი კანონმდებლობა, კონკრეტულად, საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ პარტიის/საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის მომენტში არ ითვალისწინებს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის მიერ სამართლებრივი ფაქტების დამდგენი დოკუმენტების წარდგენას, როგორცა ვინაობის დამდგენი ან მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან თუნდაც ცნობა ორმაგი მოქალაქეობის თაობაზე. ერთადერთი დოკუმენტი, რომლის წარდგენაც პირს ევალება, ეს დაბადების მოწმობის ასლია.

³³ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის ანგარიში 19.08.2013-30.09.2013. <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fangarishi%2FIATF%20report%2019%20Aug-30%20Sept.%20GEO.pdf>

³⁴ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია. საქართველო. საპრეზიდენტო არჩევნები, 27 ოქტომბერი, 2013 წელი.

ბ) ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის საკითხი

წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე პრობლემატური ორმაგი მოქალაქეობის მქონე საქართველოს მოქალაქეთა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის საკითხი გახდა. ორმაგი მოქალაქეობის მოტივით, საარჩევნო რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ პრეზიდენტობის კანდიდატებს, მათ წარმდგენ საინიციატივო ჯგუფებსა და წარმომადგენლებს.

გ) კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული სტანდარტების გამოყენების თანმიმდევრულობის პრობლემა

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესში ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვერ უზრუნველყო ორმაგი მოქალაქეობის მქონე ყველა კანდიდატის მიმართ საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვანი გამოყენება და თანმიმდევრულობა. აღნიშნული პრობლემის გამო, პრეზიდენტად წარდგენილი პირების საარჩევნო რეგისტრაციის პროცესი ხარვეზებით წარიმართა.³⁵

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის 13 სექტემბერს, საიას მიმართვის საფუძველზე, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ რეკომენდაციით მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და თითოეულ საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მაქსიმალური პროფესიული ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდა.³⁶

ცესკოს თავმჯდომარის 2013 წლის 3 სექტემბრის განკარგულებით, ორმაგი მოქალაქეობის გამო, სალომე ზურაბიშვილს უარი ეთქვა პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე. იმავე დღეს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, რეგისტრაციაში გატარდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც პრეზიდენტობის კანდიდატად ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი – ზურაბ წინუაშვილი წარადგინა. ორმაგი მოქალაქეობის მოტივით, 11 სექტემბერს ზურაბ წინუაშვილს, ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის განკარგულებით, უარი ეთქვა საარჩევნო რეგისტრაციაზე. ხოლო მომდევნო დღეს, 12 სექტემბერს, მის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფებსა და წარმომად-

³⁵ <http://gyla.ge/uploads/-20137.pdf>

³⁶ <http://www.justice.gov.ge/Page/index?code=b59e4e5a-6fd9-41f5-9756-9ff14e84cc9a>

გენელს საარჩევნო რეგისტრაცია გაუუქმდათ.³⁷

ორივე საქმეზე ცესკოს განკარგულება დაეფუძნა საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტს, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვის არ აქვს პასიური საარჩევნო უფლება. აღნიშნული მუხლის თანახმად, პასიური საარჩევნო უფლება არა აქვს იმ პირებს, რომლებსაც ეს უფლება შეზღუდული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და კანონით. ცესკოს თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტი, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უკრძალავდა საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის და პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას, სწორედ ის კონსტიტუციური ნორმაა, რომელიც პირებს (ამ შემთხვევაში, ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანებს) პასიურ საარჩევნო უფლებას უზღუდავს.

საიამ ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ორივე განკარგულება დაუსაბუთებლად მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტი საერთოდ არ არეგულირებს მოქალაქის, მათ შორის, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირის მიერ პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების საკითხს. კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უკრძალავს სამი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას. ეს აკრძალავს არ არის იმდენად ფართო, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს ართმევდეს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე კანდიდატად ყოფნის უფლებას. ამგვარი განზრახვის შემთხვევაში, კანონმდებელი კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტში პირდაპირ ჩანერდა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს ეკრძალებათ არა მხოლოდ პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავება, არამედ – ამ თანამდებობებზე კენჭისყრა. კონსტიტუციის 29 მუხლის 1¹ პუნქტი საერთოდ არ აწესრიგებს საქართველოს მოქალაქის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას. ეს კონსტიტუციური დებულება, მისი სიტყვა-სიტყვითი შინაარსის გათვალისწინებით, არ ვრცელდება საარჩევნო პროცესზე. კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტით დადგენილი აკრძალვა მოქმედებას დაიწყებს იმ მომენტიდან, როდესაც ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი მოიგებს საპრეზიდენტო არჩევნებს. ასეთ შემთხვევაში, ფიცის დადების მომენტისათვის პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულმა

³⁷ ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ნინუაშვილის მოქალაქეობის საკითხით მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, 10 სექტემბერს დაინტერესდა და მას სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის წარდგენა მოსთხოვა.

პირმა უარი უნდა თქვას სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე. კონსტიტუციური დებულება, რაც შეზღუდვას უწესებს საპრეზიდენტო არჩევნებში მოქალაქის პასიურ საარჩევნო უფლებას, იკითხება არა კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტში, არამედ კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტში. ეს უკანასკნელი დეტალურად განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რასაც პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს. ორმაგი მოქალაქეობის არქონას, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატად ადამიანის რეგისტრაციის პირობას, კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ განსაზღვრავს.

საიამ სალომე ზურაბიშვილისა და ზურაბ წინუაშვილის ინტერესები თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში წარმოადგინა. სალომე ზურაბიშვილსა და ზურაბ წინუაშვილს უარი ეთქვათ საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმა შემზღუდველია და არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას.³⁸

10. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შეიცვალა პარტიების დაფინანსების მარეგულირებელი წესები. შეცვლილი კანონმდებლობა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის შენიშვნებს, ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის, საიას რეკომენდაციებს დაეფუძნა. ამის მიუხედავად, წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა პარტიების დაფინანსების კონტროლის დაბალი დონით, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის არასათანადო აქტიურობაში გამოიხატა. აღნიშნულმა გარემოებამ ამ უწყების ეფექტური მუშაობის კუთხით გარკვეული კითხვები გააჩინა.

განსხვავებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან, მაშინ, როდესაც პარტიების დაფინანსება ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი იყო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური ხშირად საკმარისი დასაბუთების გარეშე სხვადასხვა სანქციასა თუ შეზღუდვას უწესებდა უმეტესწილად ოპოზიციურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს, სრულიად განსხვავებული მიდგომა დაფიქსირდა ამჯერად. წინასაარჩევნო პერიოდში სულ რამდენჯერმე დაჯარიმდნენ პარტიები და ისიც მცირე თანხით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ასეთი „პასიურობა“, რა თქმა უნდა, გარკვეულ ეჭვს აჩენს – ზედმეტ აქტიურობაზე უარის თქმით ეს უწყება საზოგადოების თვალში იმ ცუდი რეპუტაციის გამოსწორებას ხომ

³⁸ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია. საქართველო. საპრეზიდენტო არჩევნები, 27 ოქტომბერი, 2013 წელი.

არ ცდილობდა, რომელიც წინა წელს მოიპოვა.³⁹ ამ ეჭვს კიდევ უფრო ამყარებდა ის გარემოება, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება, კამპანიის ფინანსურ დარღვევებზე რეაგირება მხოლოდ არჩევნების დღის შემდეგ მოეხდინა, რათა ზეგავლენა არ მოეხდინა საარჩევნო პროცესზე.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტზე 4 განცხადება წარადგინა. ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისათვის განცხადებებზე რეაგირების თაობაზე ორგანიზაციის ინფორმირება არ მომხდარა.

11. წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი

11.1. სახელმწიფო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები დაფიქსირდა, თუმცა, აღნიშნული ფაქტები გაცილებით მცირეა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში საიას მიერ გამოვლენილ მსგავს ფაქტებთან შედარებით. ძირითადად, პრობლემები საჯარო მოხელეთა წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონოდ მონაწილეობასა და წინასაარჩევნოდ ადგილობრივი ბიუჯეტების მნიშვნელოვან ზრდაში გამოიხატა. ზემოაღნიშნული დარღვევების შესწავლის მიზნით, საიამ პერიოდულად მიმართავდა როგორც უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, მათი შესწავლისა და შემდგომში რეაგირების მიზნით.

დადებითად უნდა შეფასდეს სახელისუფლებო პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მიერ, პირადი ინიციატივით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობის დატოვება მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა მას ამის ვალდებულებას არ აკისრებდა.

წინასაარჩევნო პერიოდში პრეზიდენტის ინიციატივა ფართომასშტაბიან შეწყობასთან დაკავშირებით, საიას მოსაზრებით, სავარაუდოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო გამოყენების ნიშნებს შეიცავდა. რა თქმა უნდა, შეწყობა ჰუმანური აქტია და პრეზიდენტის კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებაა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი წლების განმავლობაში პირადად იყო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების ინიციატორი და მხარდამჭერი, არჩევნებამდე 2 თვით ადრე მსგავსი ინიციატივის გამოჩენა, რომელიც მოსახლეობის ფართო მასებზე იყო გათვლილი (დაახლოებით

³⁹ <http://gyla.ge/geo/news?info=1785>

20000 პირს შეეხო), შესაძლოა, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის კმაყოფილების დონის გაზრდას ისახავდა მიზნად, რაც, თავის მხრივ, წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა. ეს კი, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს. კოპენჰაგენის დოკუმენტი ცალსახად ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ სახელისუფლებო და პარტიული საქმიანობის გამიჯვნა და არ დაუშვან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება პარტიული მიზნებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯარო განცხადება გაავრცელა.⁴⁰

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს რამდენიმე ქალაქში: გორში, ქუთაისსა და ამბროლაურში გაიმართა „ღვინის ფესტივალი 2013“, რომელიც მიზნად განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ქართული ღვინის პოპულარიზაციას ისახავდა. მსგავსი ინიციატივის გამოჩენა, რომელიც გათვლილია მოსახლეობის ფართო მასებზე, შესაძლოა, მიზნად ისახავდა წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის კმაყოფილების დონის გაზრდას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება წარმოადგენდა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილს.

2013 წლის 27 ივლისს ცვლილებები განიცადა საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტმა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში, როგორც ახალი პროექტების ინიცირებას, ასევე არსებული პროგრამების ზრდას კრძალავდა. ცვლილებების შემდეგ აღნიშნული პუნქტის მოქმედება მნიშვნელოვნად დაეიწროვდა. შემცირდა შეზღუდვის მოქმედების პერიოდი და ის არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე პერიოდით განისაზღვრება. ამასთან, შეზღუდვა აღარ გავრცელდა ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ზრდაზე, ასევე, არაგეგმიური ტრანსფერის ინიცირებისა ან გეგმიური ტრანსფერის ზრდის აკრძალვაზე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტში ცვლილებები არ ყოფილა განხილული და შეჯერებული საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში, რომლის მუშაობაში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული. ინიციატივა მხოლოდ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში, საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების მეორე საკომიტეტო მოსმენაზე გაჟღერდა. **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მესტიის, ტყიბულის, სამტრედიის, გორის, ქარელის, კასპის, ახალქალაქის, ადიგენის და დუშეთის ადგილობრივ ბიუჯეტებში საარჩევნო კოდექსით აკრძალული პროექტების დაფინანსების ზრდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებამდე მოხდა, ანუ მაშინ, როდესაც კანონმდებლობით მსგავსი ქმედება ჯერ კიდევ აკრძალული იყო.** შესაბამისად, ბიუჯეტების ზრდა 2013

⁴⁰ <http://gyla.ge/geo/news?info=1691>

ნლის 27 ივლისამდე (კანონში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე) საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდა. მაგალითად, 2013 წლის 24 ივლისს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსულობები 14,722,700 (თოთხმეტი მილიონ შვიდასოცდაორი ათას შვიდასი) ლარით გაიზარდა. მათ შორის, 13,554,400 (ცამეტი მილიონ ხუთას ორმოცდაათობმეტი ათას ოთხასი) ლარი ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებს უნდა მოხმარებოდა. ვინაიდან წინასაარჩევნო პერიოდში ბიუჯეტის ზრდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ, აჭარის ა/რ ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შეჩერების მოთხოვნით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართეს.⁴¹ სასამართლომ წარდგენილი სარჩელის განხილვა არა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ შემჭიდროვებულ ვადებში, არამედ დავის განხილვის ზოგადი წესის გამოყენებით განიხილა.⁴² მოპასუხემ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ – სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსის 2013 წლის 08 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია მხოლოდ ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტებისათვის ითვალისწინებდა შეზღუდვას, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებით რაიმე შეზღუდვა დაწესებული არ იყო. არც ბათუმის საქალაქო და არც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა საიას და სამართლიანი არჩევნების მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ თანხები არჩევნების დღის ოფიციალურად გამოცხადებამდე იყო გამოყოფილი, ხოლო შემდგომში ფორმალურად მოხდა მათი ასახვა ბიუჯეტში. საიამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

11.2. ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების შემცველი 5-მდე ფაქტი დააფიქსირა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა არა მარტო საქართველოს საარჩევნო კოდექსის დარღვევას, არამედ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25² მუხლის დარღვევასაც, რომლის თანახმად, პარტიას ეკრძალება კანდიდა-

⁴¹ <http://gyla.ge/geo/news?info=1666>

⁴² <http://gyla.ge/geo/news?info=1679>

ტის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქე-სათვის უსასყიდლოდ საქონლის ან მომსახურების მიწოდება ან გავრცელება, გარდა ამ კანონით გათვალ-ისწინებული გამონაკლისებისა. ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებსაც. აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, საიამ განცხადებით მიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქა-რთველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყე-ბათაშორის კომისიას და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირება ითხოვა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ მხოლოდ 1 ფაქტთან დაკავშირებით მოახდინა რეაგირება, შეადგინა სამართ-ალდარღვევის ოქმი და საქმის შესწავლის მიზნით საქმე სასამართლოში გადააგზავნა.⁴³

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საიას მიმართვასთან დაკავშირებით რეაგირება არ მოუხდენია.

წინასაარჩევნო პერიოდში საიას მიერ დაფიქსირდა შემდეგი ფაქტები:

- **2013 წლის 1 სექტემბერი, საავტომობილო რბოლა თელავში, „ქართული ოცნება – დემოკრატი-ული საქართველოს“ ახალგაზრდული ფრთის ორგანიზებით.** გამარჯვებულებს გადასცეს ავტო-მანქანის სანვაი, ჯამში 150 ლიტრის ოდენობით, ხოლო პირველ ადგილზე გასულს – ბილანის ან-დროიდი ოქროს ნომრით.⁴⁴
- **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა აჭარაში ახალდაქორწინებულ წყვილს საჩუქარი გადასცა.**⁴⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მოსაზრებით, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ქმედება ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნებს შეიცავდა, რაც შე-საბამის შესწავლას საჭიროებდა.
- **ნესტან კირთაძის დაპირება ქართველ ბიზნესმენებს.** 2013 წლის 2 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულმა პირმა ნესტან კირთაძემ,⁴⁶ როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა და, იმავდროულად, „საერთაშორისო ევროპული ინსტიტუციის“ პრეზიდენტმა, გორში შეხვედრაზე დამსწრე ბიზნესმენებს კონკრეტული დაპირებები მისცა. კერძოდ, პრეზიდენტობის კან-

⁴³ საქველმოქმედო აქცია ოზურგეთში.

⁴⁴ საინფორმაციო პორტალი “INFO 9” და „კახეთის ხმა“; დრიფტ-შოუს საიას მონიტორიც დაესწრო.

⁴⁵ http://tv25.ge/?page=news&news_id=7547; ლინკი ნანახია 17/08/2013.

⁴⁶ http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=231&info_id=12257, <http://qartli.ge/web/13707>

დიდატი მენარმეებს ქალაქ ბრიუსელში გამგზავრებას, ევროპარლამენტის მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრებსა და ევროპელ პარტნიორებთან ბიზნეს-გარიგებების გაფორმებას დაჰპირდა.⁴⁷

- **საქველმოქმედო აქცია გურიაში.** 2013 წლის 4 აგვისტოს საქველმოქმედო ორგანიზაციამ – „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ – ოზურგეთში გამართულ საქველმოქმედო აქციაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცა.⁴⁸ ღონისძიება „ქართული ოცნების“ რაიონული ოფისის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა.⁴⁹ ჰუმანიტარული ტვირთის გადაცემაში, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდა პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეც.⁵⁰
- **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის საქმიანობა.** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პატრონაჟით, 2013 წლის 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე განხორციელდა პროექტი „მცირემინიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობა.“ სხვადასხვა ტიპის საშუავათო პაკეტის გაცემით, პროექტის ფარგლებში ფონდმა დახმარება 707,918 ბენეფიციარს გაუწია. ჯამში, პროექტის ღირებულება 195 მილიონი ლარი დაჯდა. ასევე, დაბალპროცენტიანი აგროკრედიტების გასაცემად შეიქმნა „შეღვათიანი აგროკრედიტის პროექტი“. ორივე პროექტს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ ახორციელებდა, რომელიც, თავის მხრივ, დაფინანსებას საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქართუ ფონდიდან“ იღებდა. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ამ უკანასკნელის დამფუძნებელია ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამ ფონდის მეშვეობით ეხმარებოდა სოფლის მეურნეობას. სოფლის განვითარების მხარდაჭერა, ცხადია, მისასალმებე-

⁴⁷ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საიას მიმართვაზე რეაგირება არ მოუხდენია, ხოლო ცესკომ განიხილა განცხადება და საქმისწარმოების სასამართლოში გაგრძელება მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

⁴⁸ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა უწყებათაშორის კომისიას, ცესკოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შემდგომში რეაგირების მიზნით. საქმე განსახილველად ცესკოდან ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეგზავნა, რომელმაც განცხადება ქვემდებარობის მიხედვით განიხილა, შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქველმოქმედო ორგანიზაციის მხრიდან უკანონოდ აგიტაციის განწევის ნაწილში. ცესკოს ინფორმაციით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქველმოქმედო ორგანიზაცია პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდა. რაც შეეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, საიას მიმართვასთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ ჩვენთვის უცნობია.

⁴⁹ <http://guria.tv/2013/08/5006> 19/08/2013.

⁵⁰ <http://guria.tv/2013/08/5006> 19/08/2013.

ლია, მაგრამ წინასაარჩევნო პერიოდში ეს მნიშვნელოვნად აზიანებს საარჩევნო გარემოს კონკურენტუნარიანობას.

11.3. წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევა

წინასაარჩევნო პერიოდში წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევას, ძირითადად, ადგილი არ ჰქონია. თუმცა, გამოვლინდა **5-მდე** ფაქტი, როდესაც დაფიქსირდა **საჯარო მოხელეების და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არაუფლებამოსილი პირების** აგიტაციაში მონაწილეობის შემთხვევები როგორც სახელისუფლებო,⁵¹ ასევე ოპოზიციის კანდიდატის სასარგებლოდ,⁵² რაც ახალ ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან აგიტაციაში უკანონოდ მონაწილეობის ფაქტის თაობაზე⁵³ საიას ოზურგეთის ოფისმა ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა. კომისიამ საჯარო მოხელეთა მხრიდან აგიტაციაში მონაწილეობის ფაქტი არ დაადგინა.⁵⁴ ასევე, დაფიქსირდა საჯარო სკოლის პედაგოგთა კოლექტიური დასწრების ფაქტები სააგიტაციო შეხვედრებზე, რაც იძლევა ექვის საფუძველს, რომ გრძელდება პედაგოგთა საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების მანკიერი პრაქტიკა, რომელსაც წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი.⁵⁵

ინფორმაცია მსგავს ფაქტებზე პერმანენტულად მიეწოდებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს-

⁵¹ კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის შეხვედრა გორის რაიონის მოსახლეობასთან. 2013 წლის 14 აგვისტო; კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის შეხვედრა ქალაქ ასპინძაში. 2013 წლის 12 სექტემბერი.

⁵² ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის დავით ბაქრაძის შეხვედრა რუსთავში. 2 ოქტომბერი, 2013 წელი.

⁵³ 2013 წლის 13 სექტემბერს კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრას ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ესწრებოდნენ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი პირები.

⁵⁴ ჩოხატაურის №62 საოლქო საარჩევნო კომისიის პასუხი საიას ოზურგეთის ოფისს. 21.09.2013, №69.

⁵⁵ 2013 წლის 12 სექტემბერი – გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრას, საჯარო მოხელეებთან ერთად, ასპინძის №1 საჯარო სკოლის პედაგოგები ესწრებოდნენ. 2013 წლის 18 ოქტომბერი – კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრა ქალაქ გორის მოსახლეობასთან.

თან არსებულ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას, რომელმაც გამოცხადდა რეკომენდაციები და განმარტა ცალკეული საკითხები. კომისიამ მოუწოდა ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ მათ სტრუქტურებში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის დეტალური და მკაფიო განმარტებები გამოეცათ იმასთან დაკავშირებით, თუ რისი უფლება ჰქონდათ და რა ეკრძალებოდათ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს, არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე/გამოქვეყნებამდე და რა სანქციები იყო დაწესებული კანონის მოთხოვნათა დარღვევებზე.

უწყებათაშორისმა კომისიამ მოუწოდა ძალოვანი უწყების თანამშრომლებს, თავი შეეკავებინათ წინასაარჩევნო შეხვედრებში მონაწილეობისაგან, ხოლო თუ ისინი სამსახურებრივი მოვალეობის გამო მსგავსი სახის შეხვედრებზე აღმოჩნდებოდნენ, ეტარებინათ პოლიციელის ფორმა და 5 მეტრის მანძილზე არ მიახლოებოდნენ შეხვედრის მონაწილეებს. ასევე, კომისიამ განმარტა აგიტაციის ცნება და განიხილა ყველა ის შესაძლო ქმედება, რომელიც წინასაარჩევნო აგიტაციად აღიქმება.⁵⁶

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციებისა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ვერ ხდებოდა წინასაარჩევნო აგიტაციაში არაუფლებამოსილ პირთა მონაწილეობის ფაქტების პრევენცია.

11.4. ზენოლისა და მუქარის ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდი მშვიდ ვითარებაში წარიმართა, თუმცა, დაფიქსირდა ფაქტები, რომელიც სავარაუდოდ პოლიტიკური ზენოლისა და მუქარის ნიშნებს შეიცავდა. აღნიშნული ფაქტები აზიანებდა წინასაარჩევნო გარემოს და პრობლემას ქმნიდა წინასაარჩევნო კამპანიის ზენოლისაგან თავისუფალ გარემოში წარმართვის კუთხით. დარღვევათა უმეტესობას ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რასაც თან ახლდა, საჯარო მოხელეთა ნების სანინალმდეგოდ, მათი სამსახურიდან გათავისუფლება.

აღნიშნული ფაქტები განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ შესაძლო დარღვევებში, საიას მონიტორების ინფორმაციით, იკვეთებოდა სამართალდამცავი ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების სავარაუდო მონაწილეობა.

⁵⁶ <http://justice.gov.ge/page/index/?id=82>.

სავარაუდოდ ზენოლისა და მუქარის ფაქტები, გავრცელებული ინფორმაციების მიხედვით, პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების/მხარდამჭერების მიმართ ფიქსირდებოდა. საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორებმა ზენოლისა და მუქარის 9 ინციდენტი გამოავლინეს, მათ შორის: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზენოლის – 5 შემთხვევა, ზიზნესზე სავარაუდოდ ზენოლის – 1, ფიზიკური ანგარიშსწორების – 1 და სხვა სახის ზენოლის 2 შემთხვევა.

აღნიშნული ფაქტებთან დაკავშირებით, საია მუდმივად აწოდებდა ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში სწავლობდა დარღვევებს და გამოსცემდა რეკომენდაციებს. ასევე, კონკრეტულ შემთხვევებში დაინყო გამოძიება.

საიას მიერ იდენტიფიცირებული ზენოლისა და მუქარის ფაქტების ჩამონათვალი შემდეგნაირად გამოიყურება:

- *პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევა თბილისში;*⁵⁷
- *ხარავაულის მაჟორიტარი დეპუტატისა და პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა;*⁵⁸
- *რომან იაკობიძის საქმე;*⁵⁹
- *გიორგი პაპიაშვილის საქმე;*⁶⁰

⁵⁷ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ნაძალადევის რაიონის აქტივისტს კახა კალაშოვს იმის გამო, რომ ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ კალაშოვმა საკუთარ სამუშაო ფარდულზე საქართველოს დროშა და ყრილობის დელეგატის მანდატი გააკრა.

⁵⁸ ჩხრეკა ჩატარდა ნინო ფხალაძის საცხოვრებელ სახლში 2013 წლის 20 ოქტომბერს დაახლოებით დილის 6 საათზე.

⁵⁹ ადიგენის რაიონის სოფელ კიკიბოში მცხოვრებმა პრობაციონერმა რომან იაკობიძემ აღიარა, რომ პოლიციის თანამშრომლების **ლევან აბულაძისა და შმაგი იაკობაძის** მხრიდან მის მიმართ განხორციელებული ზენოლის გამო ოთარ ბერიძეს – ადიგენში ქართული ოცნების კოორდინატორს – იარაღი ჩაუდო მისი საცხოვრებელი სახლის სათავსოში.

⁶⁰ მას შემდეგ, რაც ძალოვანმა სტრუქტურებმა გიორგი პაპიაშვილის მხრიდან უარი მიიღეს, პოლიტიკური პარტიის წევრებზე მიწოდებინა ინფორმაცია, 2013 წლის 23 ივნისს იგი სასტიკად სცემეს, რასაც შედეგად პაპიაშვილის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა.

- ზენოლისა და მუქარის ფაქტი ქარელის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში;⁶¹
- ზენოლისა და მუქარის ფაქტი ახმეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში;⁶²
- ზენოლისა და მუქარის ფაქტი ბოლნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში;⁶³
- მუქარის ფაქტი კასპის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში;⁶⁴
- ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთა საქმე.⁶⁵

11.5. სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდში საიას მონიტორების მიერ დაფიქსირდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში მიმდინარე საკადრო ცვლილებები, რომლებიც უმეტესად, სავარაუდოდ, პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა საჯარო მოხელეთა სავარაუდოდ

⁶¹ <http://qartli.ge/web/14530> 2013 წლის 29 აგვისტოს, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, თანამდებობიდან გათავისუფლდა ქარელის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ემიკო ფეიქრიშვილი, ხოლო 2013 წლის 30 აგვისტოს ქარელის საკრებულომ გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ზაზა გულიაშვილი დანიშნა, რომელიც, ფეიქრიშვილის განცხადებით, მასზე ზენოლას ახდენდა.

⁶² ზაქარია ქინქლაძის განმარტებით, აღნიშნულ პროცესში უშუალოდ ჩართული იყო საქართველოს პარლამენტში ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც მისი დანიშვნის მომენტიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მუშაობაზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა. 2013 წლის 3 სექტემბერს, საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, საკრებულოს თავმჯდომარე ზ.ქინქლაძე გადაყენებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა ახალი თავმჯდომარე დ.იმერლიშვილი.

⁶³ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ანგარიში (19.08.2013-30.09.2013), ცხრილი №1, საქმე № 12.

⁶⁴ 2013 წლის 3 სექტემბერს „ქართული ოცნების“ კასპის შტაბის ხელმძღვანელი რამაზ ბერიანიძე მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს ხმამაღლა ესაუბრა და მკაცრი გაფრთხილება მისცა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე მათ მიერ დასაკავებელ პოზიციასთან დაკავშირებით.

⁶⁵ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ანგარიში (19.08.2013-30.09.2013), ცხრილი №1, საქმე №6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების განცხადების თანახმად, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლევან ცაბაძისა და მისი მოადგილის ალექსანდრე პავლიაშვილის მხრიდან მათზე ხორციელდებოდა ზენოლა დაკავებული თანამდებობის დატოვების მოთხოვნით.

პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შემთხვევები. აღნიშნული პროცესები ცალსახად ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას, რომელიც **სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წინასაარჩევნო პერიოდში ყოველგვარი საკადრო გადაადგილებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა.**

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ გამოსცა რეკომენდაცია⁶⁶ და მოუწოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, თავი შეეკავებინათ მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების განხორციელების, მათ შორის, ხელმძღვანელი პირების იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებისაგან. მიუხედავად უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციისა, თანამდებობიდან გათავისუფლების ფაქტები კვლავ განმეორდა.

ქვემოთ წარმოგიდგენთ საიას მონიტორების მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ დარღვევებს:

- **იმპიჩმენტის წესით სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი ქედის საკრებულოში;**⁶⁷
- **რეორგანიზაცია ქალაქ ქუთაისის მერიაში;**⁶⁸
- **წყალტუბო – საკრებულოს აპარატის უფროსის ლევან ლექვინაძის საქმე;**⁶⁹
- **რეორგანიზაცია ქალაქ თბილისის საკრებულოში.**⁷⁰

⁶⁶ <http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F rekomendaciebi%2F rekomendaciebi-2%2009.2013.pdf>

⁶⁷ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 ოქტომბრის სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ შარაძე თანამდებობიდან გადაირჩიეს.

⁶⁸ რეორგანიზაციის შედეგად ქ. ქუთაისის მერიაში 89 ადამიანი გათავისუფლდა. ქ.ქუთაისის საკრებულოში მიმდინარე პროცესები მათი მხრიდან აღიქმებოდა წინასაარჩევნო პერიოდში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებად.

⁶⁹ ლევან ლექვინაძე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობიდან 2013 წლის 28 ივნისს გათავისუფლდა. ლექვინაძის ინტერესებს საიას ქუთაისის ფილიალი იცავდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ლევან მიქელაძის სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი აღდგენილ იქნა სამსახურში.

⁷⁰ 2013 წლის 17 სექტემბერს ქალაქ თბილისის საკრებულოში რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს აპარატის რეორგანიზების პროექტი და ახალი სამუშაო ნუსხა. 2013 წლის 7 ოქტომბერს თბილისის საკრებულოდან გათავისუფლებულმა 22 პირმა საიას სამართლებრივი დახმარებისთვის მომართა. საქმეთა შესწავლის საფუძველზე, მათი გათავისუფლება საიამ უკანონოდ მიიჩნია.

11.6. წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელშეშლის ფაქტები

საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო შეხვედრებმა უმეტესწილად მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუმცა, დაფიქსირდა აგიტაციაში ხელშეშლის ფაქტები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული. აგიტაციაში ხელშეშლა გამოიხატებოდა როგორც წინასაარჩევნო შეხვედრების ჩაშლაში/ჩაშლის მცდელობაში, ასევე სააგიტაციო მასალის დაზიანება/განადგურებაში.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ წინასაარჩევნო შეხვედრების ხელშეშლის 5 და წინასაარჩევნო მასალების გავრცელების ხელშეშლის 3 ფაქტი დაფიქსირდა.

წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც პოლიტიკური პატიმრის სტატუსით გათავისუფლებული მოქალაქეები (სავარაუდოდ) და მათი მხარდამჭერები „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე ფიზიკური ანგარიშსწორების განხორციელებას ცდილობდნენ. მართალია, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ინციდენტების ადგილას, ცდილობდნენ სიტუაციის განმუხტვასა და მართვას, თუმცა, საიას აზრით, ინციდენტში მონაწილე პირთა მიმართ დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც 100 (ასი) ლარის ჯარიმას მოიცავდა, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, არ იყო ჩადენილი დარღვევის სიმძიმის ადეკვატური და ვერ უზრუნველყოფდა დარღვევათა შემდგომ პრევენციას. აღნიშნული ფაქტების თაობაზე პერმანენტულად მიეწოდებოდა ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული ფაქტები და შესაბამისი რეკომენდაციები გამოსცა. მან მოუწოდა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო სუბიექტებს, უზრუნველყონ პარტიული დისციპლინა და კანონმორჩილება, მოეწოდებინათ თავიანთი წევრებისა და აქტივისტებისათვის, თავი შეეკავებინათ სხვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეშლისგან. ასევე, კომისიამ გამოსცა რეკომენდაცია სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიმართ, რომ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევების დროს მოთხოვნილი და გამოყენებული სანქციები დარღვევის პროპორციული ყოფილიყო, რათ მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენცია მომხდარიყო. მიუხედავად უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციებისა, ხელშეშლის ფაქტები მაინც განმეორდა, რაც უარყოფით კვალს ტოვებდა წინასაარჩევნო აგიტაციის მიმდინარეობაზე. ასევე, კომისიამ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, გაეცათ მკაფიო მითითება იმის შესახებ, რომ მათ აქტივისტებს, წარმომადგენლებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ კონკურენტი ან მათთვის მიუღებელი პარტიის სააგიტაციო მასალის დაზიანება

და განთავსებაში ხელშეშლა.

- **წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის ფაქტი ზუგდიდში.** 2013 წლის 20 ივლისს ქალაქ ზუგდიდში ადგილი ჰქონდა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ღონისძიების ჩაშლის მცდელობას. დაგეგმილი ღონისძიება აქციის ფონზე წარიმართა. პარტიის ლიდერებსა და დელეგატებს წინასწარ შეკრებილმა მოქალაქეებმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს და ქვეები და ბოთლები დაუშინეს.⁷¹
- **წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის ფაქტი ბათუმში.** 2013 წლის 21 ივლისს ქალაქ ბათუმში გაიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერის მორიგი ტური საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსავლენად. სასტუმრო „შერატონის“ წინ თავი მოიყარა მოქალაქეთა ჯგუფმა, რომელთაც სცადეს ფიზიკური ანგარიშსწორება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებისა და დელეგატების მიმართ.⁷² თუმცა, პოლიციის ეფექტური მოქმედების შედეგად, აქციის მონაწილეებმა ვერ შეძლეს ცოცხალი კორდონის გარღვევა და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, უსაფრთხო გარემოში გაემართათ წინასაარჩევნო შეხვედრა.
- **წინასაარჩევნო ავიატაციის ხელშეშლის მცდელობის ფაქტი ხონში.** 2013 წლის 12 აგვისტოს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ივანდიდში, ქელბაქიანების ოჯახში, დაგეგმილი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის სტუმრობა. კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა გადააკეტეს ხონში შესასვლელი გზა, თუმცა, დავით ბაქრაძემ ალტერნატიული გზით შეძლო სოფელ ივანდიდში შესვლა და ქელბაქიანებთან შეხვედრა.
- **წინასაარჩევნო ავიატაციის ხელშეშლის ფაქტი ფონიჭალაში.** 2013 წლის 9 სექტემბერს პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ წინასაარჩევნო შეხვედრა გამართა ფონიჭალაში. პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ დროშებით აღჭურვილი და საავიატაციო მაისურებში გამოწყობილი ადამიანები ცდილობდნენ შეხვედრის ჩაშლას და საპრეზიდენტო კანდიდატთან პოლემიკის გამართვას.⁷³
- **წინასაარჩევნო შეხვედრის ხელშეშლის მცდელობა ცაგერში.** 2013 წლის 8 ოქტომბერს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ შეხვედრა გამართა

⁷¹ <http://www.youtube.com/watch?v=uVGrN6AGaE8>

⁷² http://www.youtube.com/watch?v=Dca0_4F510Q

⁷³ http://www.youtube.com/watch?v=2lHWnufx_EA

ცაგერის რაიონის სოფელ ორბელის მოსახლეობასთან. შეხვედრაზე ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო აგიტაციაში ხელშეშლის მცდელობის ფაქტს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის გოგიტა ახვლედიანის მხრიდან.

რაც შეეხება წინასაარჩევნო მასალების გავრცელების ხელშეშლის ფაქტებს, საიამ 2 ფაქტი ოზურგეთში, 1 კი ბათუმში დააფიქსირა:

- 2013 წლის 7 ოქტომბერს პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტებმა **დავით ბაქრაძის** სააგიტაციო პლაკატები სპეციალურად გამოყოფილ და ნებადართულ ადგილებზე განათავსეს, თუმცა, 8 ოქტომბერს მათი უმრავლესობა განადგურებული დახვდათ.⁷⁴
- საპრეზიდენტო არჩევნების ბოლო კვირას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში მასობრივად განადგურდა პარტია **„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“** საპრეზიდენტო კანდიდატის **ნინო ბურჯანაძის** სააგიტაციო მასალა.
- 2013 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში დაფიქსირდა საარჩევნო მასალის გავრცელებაში ხელშეშლის ფაქტი. ბათუმის მერიის თანამშრომელმა და პარტია „თავისუფალი საქართველოს“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ ლოლობერიძემ ბათუმის ცენტრში ჩამოხია პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** **საპრეზიდენტო კანდიდატის დავით ბაქრაძის** სააგიტაციო მასალა, რომელიც სპეციალურად გამოყოფილ და ნებადართულ ადგილას იყო განთავსებული.⁷⁵

⁷⁴ <http://gurianews.com/home/2010-11-25-16-57-25/13552-2013-10-09-16-18-24.html>

⁷⁵ მერაბ ლოლობერიძეს, წინასაარჩევნო მასალის დაზიანების გამო, ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა.

12. მედიაგარემო

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით, ამჯერად მედიის მდგომარეობა გაუმჯობესებულია. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელშეშლის მხოლოდ ერთი ფაქტი დაფიქსირდა, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა.⁷⁶ მიუხედავად გაუმჯობესებისა, პრობლემები იყო მედია საშუალებების დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ზეგავლენისაგან გათავისუფლების თვალსაზრისით. საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულმა მოვლენებმა – ერთი მხრივ, ცალკეული ჟურნალისტების უფლებების უხეშმა დარღვევამ და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვის ორგანოების არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ – ეჭვქვეშ დააყენა საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საზოგადოებრივი მედიასაშუალებების თავისუფლება. კვლავ გამოუძიებელია სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის წილების გასხვისების კანონიერების საკითხიც.⁷⁷

კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ წევრებმა, მათ შორის საიამ, მთავარ პროკურორს მოუწოდეს, დროულად იქნეს გამოძიებული მედიასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები. ადგილობრივ მედიასთან, ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საიამ ინფორმაცია „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას“ მიანოდა. კომისიამ, საიას განცხადების საფუძველზე, ადგილობრივ თვითმმართველობებს მედიასაშუალებების ხელშეწყობის რეკომენდაციით მიმართა.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ მედიას უკანონოდ ხელი არ ეშლებოდა პროფესიულ საქმიანობაში, არამედ ისიც, რომ წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტები ეფექტურად იყოს გამოძიებული და შესაბამისმა პირებმა პასუხი აგონ ჩადენილი დანაშაულისთვის.

⁷⁶ შედარებისთვის, გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე, საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის დახმარებით, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოძიება დაიწყო ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის 39 შემთხვევაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეებიდან 21 საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

⁷⁷ კომპანიის ყოფილი მესაკუთრეების განცხადებით, 2004 წელს მათ მიერ კომპანიის წილების გასხვისება მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული იძულების შედეგი იყო და მათ თავიანთი საკუთრება ნებაყოფლობით არ გაუსხვისებიათ.

- **სტუდია „მაესტრო“**

2013 წლის 17 აგვისტოს სტუდია „მაესტროს“ დამფუძნებელმა მამუკა ლლონტმა განაცხადა, რომ ტელეკომპანია „იმედი“ სტუდია „მაესტროს“ თანამშრომელთა უმრავლესობას „იმედში“ დასაქმებას სთავაზობდა, რაც მან პოლიტიკურ ზენოლად შეაფასა.

- **„მე-9 არხი“ და სააგენტო „ინფო9“**

2013 წლის 19 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 2013 წლის 1 სექტემბრიდან დახურავდა „მე-9 არხს“ და „ინფო9“-ს, თუკი ამ დრომდე არხის ყიდვის მსურველი არ გამოჩნდებოდა. 2013 წლის აგვისტოდან „მე-9 არხმა“ მაუწყებლობა შეწყვიტა, ხოლო სააგენტო „ინფო9“ პრემიერ-მინისტრმა სააგენტოს მენეჯმენტს უსასყიდლოდ გადასცა.

- **საზოგადოებრივი მაუწყებელი**

2013 წლის 6 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ბარათაშვილი, სამეურვეო საბჭოს მხრიდან მისთვის უნდობლობის გამოცხადების საფუძველზე, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. აღსანიშნავია, რომ ეს გიორგი ბარათაშვილისათვის უნდობლობის გამოცხადების მეორე შემთხვევა იყო.⁷⁸ საინტერესოა ის გარემოება, რომ თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, გენერალური დირექტორისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის განხილვისას, „მაუწყებელზე მომაგრებული უშიშროების თანამშრომლის ირაკლი ციბაძის მხრიდან საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძეზე ზენოლის მცდელობის ფაქტის“ შესახებ. განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ი.ციბაძის შეთავაზებები შეიცავდა მუქარის ნიშნებსაც.

ოქტომბრის თვეში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ორმა წევრმა დაწერა განცხადე-

⁷⁸ პირველად სამეურვეო საბჭომ გიორგი ბარათაშვილს უნდობლობა ნახევარი წლის წინ, 2013 წლის 4 მარტს, კანონმდებლობის უხეში დარღვევით გამოუცხადა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საბჭო პოლიტიკური მოტივებით მოქმედებდა. 2013 წლის 29 აპრილს სამეურვეო საბჭოს მიერ გიორგი ბარათაშვილისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ ბათილად ცნო. ამ სასამართლო დავაში გიორგი ბარათაშვილის ინტერესებს საია წარმოადგენდა.

ბა საბჭოს დატოვების თაობაზე, რასაც დანარჩენი მიუღწევები მათზე განხორციელებულ ზენოლას უკავშირებდნენ. განხორციელებულ ზენოლაზე საუბრობდა საბჭოს რამდენიმე მოქმედი წევრიც. არხზე მიმდინარე პროცესები მძიმე ფინანსურ კრიზისზე მიუთითებდა, რაც საფრთხეს უქმნიდა არხის ჯეროვან ფუნქციონირებას.

- **ეკა კვესიტაძისა და დავით პაიჭაძის საქმე**

2013 წლის 17 სექტემბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით, ჟურნალისტი ეკა კვესიტაძე გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. გათავისუფლების საფუძვლად გადაცემა „აქცენტების“ დახურვა დასახელდა. კითხვებს ბადებდა დავით პაიჭაძის შემთხვევაც. ახალი პირობების თანახმად, ჟურნალისტი საზოგადოებრივ მაუწყებელში მხოლოდ რადიოგადაცემაზე გააგრძელებდა მუშაობას. 17 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტყემალაძემ მედიასთან გააკეთა განცხადება, რომ ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე მიუკერძოებლად ვერ წაიყვანდნენ გადაცემებს „პირველ არხზე“.

- **ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტის საქმე**

2013 წლის 24 აგვისტოს ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტის გიორგი სიხარულიძის ინფორმაციით, პოლიციის მუშაკებმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და კუთვნილი ვიდეო მასალა გაუნადგურეს.

- **გურიის მოამბე**

2013 წლის 16 აგვისტოს გაზეთ „გურიის მოამბის“ რედაქტორმა გაავრცელა განცხადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხრიდან გაზეთთან გაფორმებული უზუფრუქტის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებული ზენოლის ფაქტების შესახებ.

- **ასპინძის მაცნე**

2013 წლის 8 აგვისტოს საიას გორის ოფისს იურიდიული დახმარების თხოვნით მიმართა ასპინძის მუნიციპალიტეტის გაზეთის „ასპინძის მაცნეს“ რედაქტორმა. მისი განცხადებით, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 24 ივლისის №32 განკარგულებით, დაიწყო ა(ა)იპ „ასპინძის მაცნეს“ ლიკვიდაციის პროცესი.

- **აჭარის ტელევიზია**

აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ 2013 წლის 5 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, დაირღვა კანონმდებლობა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრების არჩევის წესს ითვალისწინებდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით, აჭარის ტელევიზიის მრჩეველთა საბჭო ერთპარტიული ნიშნით დაკომპლექტდა.

- **კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოება**

2012 წლის 24 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო დადგენილება, რომელიც მთელ რიგ შეზღუდვებს აწესებდა კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეო გადაღების წარმოებაზე. დადგენილებით დაწესებული შეზღუდვები ხელს უშლიდა მედია საშუალებებს არჩევნების დღის სრულყოფილად გაშუქებაში.⁷⁹ საია მუდმივად ახდენდა ცესკოს აღნიშნული დადგენილების გაუქმების ლობირებას. 2013 წლის 20 სექტემბერს საიას ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრმა გამართა შეხვედრა, სადაც განიხილეს დადგენილების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა და წარდგენილ იქნა ცენტრის მიერ ჩატარებული ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგები.⁸⁰ შეხვედრაზე გამართულ

⁷⁹ დადგენილების მიღების დღიდან საიამ მრავალი აქტივობა განახორციელა მისი გაუქმების მოთხოვნით. კერძოდ, მიღებისთანავე დადგენილება გასაჩივრდა სასამართლოში, თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა საიას, სხვა მოსარჩელე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების პოზიცია დადგენილების კანონთან შეუსაბამობის თაობაზე.

⁸⁰ შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები, მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.

დისკუსიაზე მხარეებმა, როგორც მედიის, ისე ცესკოს წარმომადგენლებმა, გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები დადგენილებით გამოწვეული დაბრკოლებებისა და მათი აღმოფხვრის გზების შესახებ. აღნიშნულ აქტში ცვლილებები 16 ოქტომბერს შევიდა და მედიის საქმიანობაზე დაწესებული მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოიხსნა.

13. კენჭისყრის დღე

კენჭისყრის დღის დარღვევები/საჩივრები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების დღის დაკვირვებას უბნებზე მივლენილი დამკვირვებლებისა და მობილურ ჯგუფებში გადანაწილებული დამკვირვებლების მეშვეობით, საიას გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 36 საარჩევნო ოლქსა და საზღვარგარეთ გახსნილ უბნებზე ახორციელებდა.⁸¹

⁸¹ 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას საია შემდეგ საარჩევნო ოლქებში აკვირდებოდა: მთაწმინდა, ვაკე, საბურთალო, კრწანისი, ისანი, სამგორი, ჩუღურეთი, დიდუბე, ნაძალადევი, გლდანი, ქუთაისი, წყალტუბო, ბაღდათი, სამტრედია, თერჯოლა, ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ქედა, ფოთი, მარტვილი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, გორი, ხაშური, ქარელი, კასპი, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, გარდაბანი, თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, დუშეთი. ასევე, დიდ ბრიტანეთსა (ლონდონი) და გერმანიაში (ბერლინი).



საიას სადამკვირვებლო მისია 2013 წლის საკრეზიდენტო არჩევნებზე



საიას დამკვირვებელი

ოლქები:

თბილისის 10 ოლქი;

1. ბათუმი;
2. ქობულეთი;
3. ხელვაჩაური;
4. ქიდა;
5. ქუთაისი;
6. წყალტუბო;
7. ბაღდათი;
8. სამტრედია;
9. თერჯოლა;
10. ოზურგეთი;
11. ლანჩხუთი;
12. ჩოხატაური;
13. ჟოთი;
14. გორი;
15. კარაღი;
16. ქასპი;
17. ხაშური;
18. რუსთავი;
19. გარდაბანი;
20. გორღისი;
21. ბარდბაზანი;
22. თიანეთი;
23. სტარაჯო;
24. გურჯაანი;
25. ლუხეთი;
26. ბარბანდი



www.gyla.ge

მთლიანობაში, საიას შეფასებით, **ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა საკუთარი არჩევანი თავისუფლად დაეფიქსირებინა**. კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგად, რამდენიმე პოზიტიური ტენდენცია გამოვლინდა:

- მოხდა სამართალდამცავი ორგანოების დისტანცირება საარჩევნო პროცესებიდან, სპეც-უბნების რაოდენობის შემცირება,⁸² სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ არჩევანი გაეკეთებინათ საკუთარი საცხოვრებელი (რეგისტრაციის) ადგილის მიხედვით. ეს გარემოება არჩევნების პოზიტიურად ჩატარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი იყო;
- საარჩევნო ადმინისტრაცია, რამდენიმე კონკრეტული შემთხვევის გარდა, მონოდებული იყო, რომ სათანადო რეაგირება მოეხდინა საიას დამკვირვებლების შენიშვნებზე და გამოესწორებინა დარღვევები;
- დარღვევათა უმეტესობა, ჩვენი შეფასებით, განპირობებული იყო უფრო საარჩევნო კანონმდებლობის არასათანადო ცოდნით, ვიდრე საუბნო საარჩევნო კომისიების მიზანმიმართული, განზრახვი ქმედებებით. ამასთან, საიას დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირებული დარღვევები ძირითადად პროცედურულ საკითხებს შეეხებოდა და არჩევნების შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა.

კენჭისყრის პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. იმ საარჩევნო უბნების უმრავლესობა, რომლებზეც საია გახსნის პროცედურებს აკვირდებოდა, დროულად იყო მზად პირველი ამომრჩეველის მისაღებად. აღნიშნული უბნების უმეტესი ნაწილი აღჭურვილი იყო შესაბამისი საარჩევნო მასალით. საიას დამკვირვებლებს რამდენიმე უბანზე (ძირითადად, სპეც-უბნებზე) შეშვებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ. პრობლემები ასევე დაფიქსირდა წილისყრის პროცედურებსა და საკონტროლო ფურცლის შევსებასთან დაკავშირებით. კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიებში საიას დამკვირვებლებმა **33** საჩივარი წარადგინეს და **50** შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში.

ხმის მიცემის პროცესის დროს საიას დამკვირვებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნა პროცედურული დარღვევები. დამკვირვებელთა მიერ წარდგენილი საჩივრები და შენიშვნები შეეხებოდა შემდეგ დარღვევებს:

⁸² განსხვავებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მნიშვნელოვნად შემცირდა სპეც-უბნების რაოდენობა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არსებული 71 საარჩევნო უბნის ნაცვლად, საპრეზიდენტო არჩევნებზე მხოლოდ 34 სპეც-უბანი შეიქმნა.

- დამკვირვებლის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეშლის 8 ფაქტი. მათ შორის, უბანზე საიას დამკვირვებლების დაშვებასთან დაკავშირებული პრობლემები და ჩანანერთა წიგნში ჩანან-ერის გაკეთების ხელშეშლა;
- წილისყრის პროცედურების დარღვევები;⁸³
- საკონტროლო ფურცლების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- არასათანადო დოკუმენტებით არჩევნებში მონაწილეობა;
- საარჩევნო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები;
- სხვის ნაცვლად ხმის მიცემა;
- გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემები;
- საჩივრის ჩაბარებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- უბნის დაგვიანებით გახსნა;
- უბანზე აგიტაციის შემთხვევა;
- მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- დამკვირვებელთა შორის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტი;
- დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები საარჩევნო უბნებზე ერთზე მეტი დამკვირვებლით იყვნენ წარმოდგენილნი, რაც კანონდარღვევაა.

⁸³ №3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის №28 საუბნო საარჩევნო კომისიის 2 წევრმა ფუნქციები მთელი დღის მანძილზე გადაცვალა. აღნიშნული დარღვევა საიამ ჯერ საოლქო, ხოლო შემდგომ სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ კენჭისყრა მიმდინარეობს დღის 08:00 საათიდან 20:00 საათამდე, კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გადაცემა 07:20 საათიდან 19:00 საათამდე ვერ იქნება მიჩნეული გონივრულ ვადად. სასამართლოს განმარტებით, კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციების კომისიის სხვა წევრებისათვის გადაცემა შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ ფუნქციების გადაცემა დროებით, გონივრული ვადით მოხდება.



საიას მიერ დაფიქსირებული დარღვევები



დაგვირგვინის უფლებამოსილების განსორსვილების ხელშეშლის ფაქტი

8



ბალსატან საარჩევნო ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემები

3



წილისყრის პროცედურების დარღვევები

5



საჩივრის ჩაბარებასთან დაკავშირებული პრობლემები

3



სამონტროლო ფურცლების შევსებასთან დაკავშირებული პრობლემები

7



უხის დაბრუნებით ბაზსნა

2



არასათანადო ღონისძიებით არჩევნებში მონაწილეობის საჩივრები

11



აბიტანტის საარჩევნო უბანზე

1



ამომრჩეველთა სივრცის დაკავშირებული პრობლემები

1



მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები

5



სხვის ნაცვლად ხმის მიცემა

3



დაგვირგვინთან დაკავშირების ფაქტი

1

www.gyla.ge

14. არჩევნების შემდგომი პერიოდი

საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგს საქართველოს 36 საარჩევნო ოლქში, ოლქის – 72 და ცესკოს – 3 დამკვირვებლის საშუალებით ახორციელებდა. არჩევნების შემდგომ პერიოდში დაკვირვების ობიექტს საარჩევნო ადმინისტრაციების საქმიანობა, საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვა და შედეგების შეჯამების პროცესი წარმოადგენდა.

კენჭისყრის დღის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში სულ წარდგენილ იქნა **153** საჩივარი, სასამართლოში – **3** საჩივარი. საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი **153** საჩივრიდან საოლქო საარჩევნო კომისიებმა **72** საჩივარი – სრულად, **38** საჩივარი კი – ნაწილობრივ დააკმაყოფილეს. სასამართლოებში წარდგენილი **3** საჩივრიდან სრულად დაკმაყოფილდა **1** ადმინისტრაციული საჩივარი, **1** საჩივარი – ნაწილობრივ, **1** საჩივარი კი არ დაკმაყოფილდა.

საოლქო საარჩევნო კომისიებს საჩივრები საიას დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ შემდეგი სახის დარღვევებზე წარედგინათ:

- **წილისყრასთან დაკავშირებული დარღვევები**, რაც გამოიხატა წილისყრის პროცედურების განუხორციელებლობაში, წილისყრით გადაცემული ფუნქციების თვითნებურად გადანაწილებაში: №3 საბურთალოს ოლქის №3, №28 უბნები; №32 საარჩევნო ოლქის №98 უბანი; №52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის №23 საარჩევნო უბანი; №61 ლანჩხუთის საარჩევნო ოლქის №6 საარჩევნო უბანი; №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №4 საარჩევნო უბანი.
- **შემაჯამებელი ოქმების შედგენასთან დაკავშირებული დარღვევები**, რაც გამოიხატა შემაჯამებელი ოქმების კომისიის ბეჭდებით დაუმონტაჟებლობაში, კომისიის წევრების მიერ ხელმოწერების განუხორციელებლობაში, მონაცემების გადასწორებაში, სავალდებულო რეკვიზიტების შეუსებლობაში, შემაჯამებელი ოქმების არასათანადო შევსებასა და შესწორების ოქმების შედგენის კანონით განსაზღვრული წესის დარღვევაში: №2 ვაკის საარჩევნო ოლქის №27, №29, №30, №50, №64, № 74, №75 საარჩევნო უბნებზე; №3 საბურთალოს №29, №39, №50, №75, №77 საარჩევნო უბნები; №4 კრწანისის საარჩევნო ოლქის №3, №17 საარჩევნო უბნები; №6 სამგორის საარჩევნო ოლქის №93, №107, №10, №54 საარჩევნო უბნები; №10 გლდანის საარჩევნო ოლქის №99, №113, №90, №80, №31, №19, №3, №20 საარჩევნო უბნები; №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის №11 საარჩევნო უბანი; №12 გურჯაანის

საარჩევნო ოლქის №36, №20, №47, №31, №49, №27, №24, №4 საარჩევნო უბნები; №17 თელავის საარჩევნო ოლქის №4, №11, №10, №37 საარჩევნო უბნები; №32 გორის საარჩევნო ოლქის №1, №51, №63, №80, №57, №60, №97, №107 საარჩევნო უბნები; №52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის №1 საარჩევნო უბანი; №58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქის №29 საარჩევნო უბანი; №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №121, №75 საარჩევნო უბნები; №65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №31 საარჩევნო უბანი; №62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის №19, №17 საარჩევნო უბნები; №80 ქედის საარჩევნო ოლქის №1 საარჩევნო უბანი; №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №8, №10, №25, №26, №35, №38, №63, №60 საარჩევნო უბნები.

- **დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოებასთან დაკავშირებული დარღვევები**, რაც გამოიხატა საკონტროლო ფურცლების, სადემონსტრაციო ოქმების, ამომრჩეველთა სიის არასათანადო წარმოებაში: №3 საბურთალოს საარჩევნო ოლქის №76, №11 საარჩევნო უბნები; №5 ისნის საარჩევნო ოლქის №45 საარჩევნო უბანი; №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №28 საარჩევნო უბანი; №17 თელავის საარჩევნო ოლქის №8 საარჩევნო უბანი; №49 თერჯოლის საარჩევნო ოლქის №24 საარჩევნო უბანი; №52 ბაღდათის საარჩევნო ოლქის №5 საარჩევნო უბანი; №54 სამტრედიის საარჩევნო ოლქის №7 საარჩევნო უბანი; №58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქის №42 საარჩევნო უბანი; №65 მარტვილის საარჩევნო ოლქის №2, №33, №39 საარჩევნო უბნები; №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის №24 საარჩევნო უბანი; №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №46, №49 საარჩევნო უბნები; №80 ქედის საარჩევნო ოლქის №8, №17, №31 საარჩევნო უბნები; №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №22, №53 საარჩევნო უბნები; №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №4 საარჩევნო უბანი.
- **არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემის შემთხვევები**, რაც გამოიხატა პირადობის მონმობის ასლებითა და მართვის მონმობით ხმის მიცემაში: №9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის №100 საარჩევნო უბანი.
- **ფარულობის პრინციპის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები**: №22 მარნეულის საარჩევნო ოლქის №50 საარჩევნო უბანი; №21 გარდაბნის საარჩევნო ოლქის №31 საარჩევნო უბანი; №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №27 საარჩევნო უბანი.
- **დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა**: №21 გარდაბნის საარჩევნო ოლქის №3 საარჩევნო უბანი; №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №65, №82 საარჩევნო უბნები; №81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის №4 საარჩევნო უბანი; №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №4 საარჩევნო უბანი.

- **საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობის დარღვევა:** №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №13 საარჩევნო უბანი.
- **ამომრჩეველთა სიებში არსებული ხარვეზები:** №62 ჩოხატაურის საარჩევნო ოლქის №31 საარჩევნო უბანი.
- **ოლქისთვის მასალების გადაცემის წესის დარღვევა,** რაც გამოიხატა ჩანანერთა ნიგნისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დაულუქავი სახით წარდგენაში: №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის №8, №11, №51, №20, №22, №36, №43, №64, №73, №88 საარჩევნო უბნები.
- **ამომრჩეველთა სიებში წინასწარ დაფიქსირებული ხელმოწერები:** №8 დიდუბის საარჩევნო ოლქის №26 საარჩევნო უბანი; №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №66 საარჩევნო უბანი.
- **ბიულეტენებთან დაკავშირებული დარღვევები:** №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №82 საარჩევნო უბანი.
- **კომისიის ბეჭდებზე ნაკვეთურების განუხორციელებლობა:** №6 სამგორის ოლქის №12, №39, №32, №45, №51, №69, №74, №4 საარჩევნო უბნები; №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქის №6, №9, №17, №22, №29, №35, №43, №48 საარჩევნო უბნები; №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქის №3, №6, №23, №24 საარჩევნო უბნები; №17 თელავის საარჩევნო ოლქის №11 საარჩევნო უბანი; №28 დუშეთის საარჩევნო ოლქის №12, №46 საარჩევნო უბნები; №30 კასპის საარჩევნო ოლქის №14, №15, №5 საარჩევნო უბნები; №32 გორის საარჩევნო ოლქის №99 საარჩევნო უბანი; №58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქის №39, №41, №45, №56 საარჩევნო უბნები; №70 ფოთის საარჩევნო ოლქის №2 საარჩევნო უბანი; №80 ქედის საარჩევნო ოლქის №2 საარჩევნო უბანი; №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის №37 საარჩევნო უბანი.



საიას მიერ დანერგული სერვისების რაოდენობა



უბნეზუმი



ოლქეზუმი




სასამართლოები


www.gyla.ge

საჩივრებში დაყენებული მოთხოვნები


უმეტეს შემთხვევაში, საია წარდგენილი საჩივრებით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას ითხოვდა. აღნიშნული მოთხოვნით, საიას დამკვირვებლებმა 153 საჩივარი წარადგინეს. მათგან 72 ამ მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა, 38 – ნაწილობრივ, 27 არ დაკმაყოფილდა.



დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრა 211 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, მათ შორისაა: 101 – საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, 5 – მოადგილე, 86 – მდივანი და 19 – კომისიის წევრი.



საოლქო საარჩევნო კომისიებში საიას მიერ წარდგენილი საჩივრებიდან საუბნო საარჩევნო კომისიების 165 წევრს შეეფარდა შენიშვნა, 38-ს – გაფრთხილება, ხოლო 8 კომისიის წევრს – ხელფასის ნაწილის დაკავება.



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნა დაფიქსირდა 11 საჩივარში, რომელთაგან არც ერთი დაკმაყოფილდა.

შემაჯამებელი ოქმის ბათილობის მოთხოვნა დაფიქსირდა 7 საჩივარში. მათგან არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

კენჭისყრის შედეგების გადათვლის მოთხოვნა დაფიქსირდა 7 საჩივარში. მათგან 1 საჩივარი დაკმაყოფილდა, 5 – არ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 დარჩა განუხილველი.

3 შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება საიამ სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოში წარდგენილი საჩივრებიდან ერთი სრულად და ერთი კი, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლოში წარდგენილი 3 საჩივრით საია ითხოვდა საუბნო საარჩევნო კომისიების 7 წევრის დისციპლინურ პასუხისმგებლობას. სასამართლომ 1 საჩივრი სრულად, 1 – ნაწილობრივ, ხოლო 1 არ დააკმაყოფილა.

საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- ცალკეული გამონაკლისების გარდა, საოლქო საარჩევნო კომისიები მონოდებულნი იყვნენ, დეტალურად შეესწავლათ საიას მიერ წარდგენილი საჩივრები, მოეხდინათ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა და მტკიცებულებათა ჯეროვანი შესწავლა/შეფასება;
- საჩივრის განხილვაზე საოლქო საარჩევნო კომისიები იბარებდნენ საჩივარში მითითებულ მონმეებს და ახდენდნენ მათ გამოკითხვას;
- მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებით, ცალკეული შემთხვევების გარდა, საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო დასაბუთებული. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვრცელ და არგუმენტირებულ დასაბუთებას მოიცავდა, რაც უდავოდ მისასაღებელი ფაქტია;
- საიას დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო ადმინისტრაცია პროაქტიულად, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა დარღვევის ფაქტებს და დამრღვევ პირებს პასუხისმგებლობას აკისრებდა, რის გამოც, არა ერთ შემთხვევაში, საიას დამკვირვებლებმა საჩივარი აღარ წარადგინეს.

15. რეზიუმე/დასკვნა

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები პირველი საერთო არჩევნებია, რომელიც ახალი ხელისუფლების პირობებში ჩატარდა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თვისობრივად უკეთეს, გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარება ახალი ხელისუფლების გაცხადებულ გეგმას წარმოადგენდა.

საკანონმდებლო ჩარჩო

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი რეკომენდაციების ნაწილი გაითვალისწინა. ჯგუფის მიერ მომზადებული და პარლამენტში ინიცირებული საარჩევნო კანონპროექტები ძირითადად საიასა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარდგენილ რეკომენდაციებს დაეფუძნა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო თავიდან მაღალი სტანდარტების საარჩევნო კანონმდებლობის შექმნას აპირებდა, საბოლოოდ, დაგეგმილიდან, საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით, ბევრი არსებითი ხასიათის ცვლილება არ მიღებულა. შედეგად, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, კვლავაც პრობლემურად რჩება ისეთი საკითხების მოწესრიგება, როგორცაა საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, სახელმწიფო და პარტიული რესურსების მკვეთრად გამიჯვნა, ამომრჩევლის მოსყიდვის რეგულაციები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხები, საარჩევნო დავები, განსაკუთრებულ შემთხვევაში შექმნილი უბნები (სპეც-უბნები), მედია რეგულაციები.

უნწყებათაშორისი კომისია

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია მოწოდებული იყო წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და დარღვევების პრევენციისკენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, კომისიამ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები შეიმუშავა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოსამსახურეთა მონაწილეობის წესის დაზუსტებ-

ისა და ცალკეული წესების განმარტების კუთხით. თუმცა, არსებობდა გარკვეული პრობლემები სხდომის კონსტრუქციულ რეჟიმში ჩატარებასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

წინასაარჩევნო პერიოდი გამოირჩეოდა პარტიების დაფინანსების კონტროლის დაბალი დონით, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის არასათანადო აქტიურობაში გამოიხატებოდა. აღნიშნულმა გარემოებამ ამ უწყების ეფექტური მუშაობის კუთხით გარკვეული კითხვები გააჩინა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ხარატიშვილის მიერ თანამდებობის დატოვება საარჩევნო პროცესის ადმინისტრირების შემაფერხებელი გარემოება იყო.⁸⁴ მიგვაჩნია, რომ, თუ ზურაბ ხარატიშვილი თანამდებობის დატოვებას აპირებდა, მას მსგავსი გადაწყვეტილება ან წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ან არჩევნების დასრულებისას უნდა მიეღო. რაც შეეხება ცესკოს ახალი თავმჯდომარის შერჩევას, მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გაითვალისწინა სამოქალაქო ორგანიზაციების მოსაზრება და ცესკოს თავმჯდომარის პოზიციაზე ჩვენ მიერ დასახელებული კანდიდატი – თამარ ჟვანია წარადგინა. ასევე მისასაღმებელია, რომ ცესკოში მმართველი კოალიციის მიერ დანიშნულმა წევრებმა მხარი თამარ ჟვანიას კანდიდატურას დაუჭირეს. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით, მთელი რიგი პრობლემური საკითხები გამოვლინდა, როგორცაა: პრეზიდენტობის კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული მოთხოვნების დაზუსტების აუცილებლობა; ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობა; ცესკოს სახელმწიფო ორგანოებთან არაკოორდინირებული მუშაობის პრობლემა და ა.შ. საიას მიაჩნია, რომ ცესკოსა და სასამართლოს გადაწყვეტილებები სალომე ზურაბიშვილისა და ზურაბ ნინუაშვილის კანდიდატად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის არასწორ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რაც წინასაარჩევნო პერიოდის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

⁸⁴ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში, თბილისი, საქართველო, 6 სექტემბერი, 2013, გვ.6.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული კრიტიკის საგანს წარმოადგენდა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არ შეცვლილა. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრებისა, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის, კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული კომისიის წევრებით დაკომპლექტდა, რაც არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი.⁸⁵ ისე, როგორც 2013 წლის შუალედურ არჩევნებზე, ამჯერადაც დაფიქსირდა რიგი შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა იმ პირთა პროფესიული ნიშნით არჩევას საუბნო საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უახლოეს წარსულში სხვადასხვა პარტიას წარმოადგენდნენ საარჩევნო ადმინისტრაციებში. საიას აზრით, აღნიშნული გარემოება, ნდობის კუთხით, გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაციისათვის.

წინასაარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებიც, თუმცა, მსგავსი დარღვევები გაცილებით მცირეა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საიას მონიტორების მიერ გამოვლენილ დარღვევებთან შედარებით. ძირითადად, პრობლემები საჯარო მოხელეთა წინასაარჩევნო აგიტაციაში უკანონოდ მონაწილეობასა და წინასაარჩევნოდ ადგილობრივი ბიუჯეტების მნიშვნელოვან ზრდაში გამოიხატა. ასევე, ამ კუთხით საინტერესო იყო პრეზიდენტის ინიციატივა ფართომასშტაბიან შეწყალებასთან დაკავშირებით, რაც, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენების ნიშნებს შეიცავდა.

დადებითად უნდა შეფასდეს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებული პირის გიორგი მარგველაშვილის მიერ, პირადი ინიციატივით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობის დატოვება მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა მას ამას არ ავალდებულებდა.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნების შემცველი რამდენიმე ფაქტი დააფიქსირა.

⁸⁵ <http://www.tabula.ge/ge/story/74801-xuti-politikuri-partia-sadamkvirveblo-organizaciebs-mimartavs>.

საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო აგიტაციის წესების დარღვევას, უმეტესწილად, ადგილი არ ჰქონია. თუმცა, გამოვლინდა საჯარო მოხელეების და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა არაუფლებამოსილი პირების აგიტაციაში მონაწილეობის რამდენიმე შემთხვევა. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში საჯარაუდოდ პოლიტიკური ზეწოლისა და მუქარის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა, რაც აზიანებდა წინასაარჩევნო გარემოს და საფრთხეს უქმნიდა წინასაარჩევნო კამპანიის ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში ჩატარებას, განსაკუთრებით, საქართველოს რეგიონებში. დარღვევათა უმეტესობას ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რასაც თან სდევდა, საჯარო მოხელეთა ნების სანიანალმდეგოდ, მათი სამსახურიდან გათავისუფლება. აღნიშნული ფაქტები განსაკუთრებით საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საიას მონიტორების ინფორმაციით, იკვეთება სამართალდამცავი ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების შესაძლო მონაწილეობა. დაკვირვების შედეგად ასევე გამოვლინდა საჯარო მოხელეთა საჯარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შემთხვევები. აღნიშნული პროცესები ცალსახად ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს წინასაარჩევნო პერიოდში ყოველგვარი საკადრო გადაადგილებისგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდებდა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო შეხვედრებს, ისინი უმეტესწილად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა, დაფიქსირდა ხელშეშლის ფაქტები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული და, ზოგიერთ შემთხვევაში, ძალადობრივ ხასიათს ატარებდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით, მედიის მდგომარეობა გარკვეული თვალსაზრისით გაუმჯობესდა. გასული წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისგან განსხვავებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტიკის პროფესიული საქმიანობისათვის უკანონოდ ხელშეშლის მხოლოდ ერთი ფაქტი დაფიქსირდა.⁸⁶ მიუხედავად ამ გაუმჯობესებისა, პრობლემები რჩება მედია საშუალებების დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური ზეგავლენისგან გათავისუფლების თვალსაზრისით.

⁸⁶ შედარებისთვის, გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე, საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის დახმარებით, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოძიება დაიწყო ჟურნალისტიკისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის 39 შემთხვევაზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეებიდან 21 საქმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს.

კენჭისყრის დღე

მშვიდ ვითარებაში ჩაიარა კენჭისყრამ. მთლიანობაში, საიას შეფასებით, ამომრჩეველს შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი არჩევანი თავისუფლად დაეფიქსირებინა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამართალდამცავი ორგანოების დისტანცირება საარჩევნო პროცესებისგან, სპეც-უბნების რაოდენობის შემცირება;⁸⁷ არჩევნების პოზიტიურად ჩატარების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის შესაძლებლობის მიცემა, არჩევანი საკუთარი საცხოვრებელი (რეგისტრაციის) ადგილის მიხედვით გაეკეთებინათ; საარჩევნო ადმინისტრაცია, რამოდენიმე კონკრეტული შემთხვევის გარდა, მონოდებული იყო, სათანადო რეაგირება მოეხდინა საიას დამკვირვებლების შენიშვნებზე და დარღვევები გამოესწორებინა; დარღვევათა უმეტესობა, ჩვენი შეფასებით, უფრო განპირობებული იყო საარჩევნო კანონმდებლობის არასათანადო ცოდნით, ვიდრე საუბნო საარჩევნო კომისიების მიზანმიმართული, განზრახვი ქმედებებით. ამასთან, საიას დამკვირვებელთა მიერ დაფიქსირებული დარღვევები ძირითადად პროცედურული ხასიათის იყო და არჩევნების შედეგზე გავლენას ვერ მოახდენდა.

არჩევნების შემდგომი პერიოდი

გამჭვირვალედ მიმდინარეობდა საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შემაჯამებელი ოქმების დათვლისა და ხმების შეჯამების პროცესი. არჩევნების დღის შემდგომი პერიოდის საჩივრები ძირითადად ტექნიკური ხასიათის დარღვევებს ეხებოდა, როგორცაა საარჩევნო დოკუმენტაციის არასრულყოფილად/არასწორად შევსება. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შემაჯამებელი ოქმების და საკონტროლო ფურცლების არასრულყოფილად შევსებასთან დაკავშირებით არაერთი საჩივარი დაინერა. საჩივრები წარდგენილ იქნა ასევე ცალკეული პროცედურული საკითხების დაუცველობასთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, საუბნო კომისიის ბეჭედზე მეორე ნაკვეთურის არარსებობა ან ოლქში დაულუქავი ჩანანერთა წიგნისა და სარეგისტრაციო ჟურნალის წარდგენა და სხვა. ცალკეული გამონაკლისების გარდა, საოლქო საარჩევნო კომისიები მონოდებულნი იყვნენ, დეტალურად შეესწავლათ საიას მიერ წარდგენილი საჩივრები, მოეხდინათ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევა და მტკიცებულებათა ჯეროვანი შესწავლა/შეფასება; საჩივრის განხილვაზე საოლქო საარჩევნო კომისიები იბარებდ-

⁸⁷ განსხვავებით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მნიშვნელოვნად შემცირდა სპეც-უბნების რაოდენობა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არსებული 71 საარჩევნო უბნის ნაცვლად, საპრეზიდენტო არჩევნებზე მხოლოდ 34 სპეც-უბანი შეიქმნა.

ნენ საჩივარში მითითებულ მოწმეებს და ახდენდნენ მათ გამოკითხვას; მანამდე არსებული პრაქტიკისგან განსხვავებით, ცალკეული შემთხვევების გარდა, საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო დასაბუთებული. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ვრცელ და არგუმენტირებულ დასაბუთებას მოიცავს, რაც უდავოდ მისასაღმებელი ფაქტია; საიას დამკვირვებლებმა დააფიქსირეს არაერთი შემთხვევა, როდესაც საოლქო საარჩევნო ადმინისტრაცია პროაქტიულად, საკუთარი ინიციატივით სწავლობდა დარღვევის ფაქტებს და პასუხისმგებლობას აკისრებდა დამრღვევ პირებს, რის გამოც, არაერთ შემთხვევაში, საიას დამკვირვებლებმა საჩივარი აღარ წარადგინეს.

16. რეკომენდაციები

საია გამოთქვამს იმედს, რომ წინამდებარე ინფორმაცია დაეხმარება საარჩევნო პროცესში ჩართულ პირებს, განამტკიცონ მიღწევები და აღმოფხვრან ხარვეზები, რომლებიც 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს ახასიათებდა, რაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების უკეთეს გარემოში ჩატარებას. შესაბამისად, არჩევნების თვისობრივად უკეთეს, გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების მოწესრიგება:

- **საკანონმდებლო ჩარჩო**

საარჩევნო გარემოს არსებითად გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდეს ისეთი საკითხების მოწესრიგება, როგორიცაა საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, სახელმწიფო და პარტიული რესურსების მკვეთრად გამიჯვნა, ამომრჩევლის მოსყიდვის რეგულაციები, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის საკითხები, საარჩევნო დავები, გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი უზნები (სპეც-უზნები). ამასთან, მიგვაჩნია, რომ, საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის მიზნით, რეფორმა არჩევნებამდე გაცილებით ადრე უნდა განხორციელდეს. პარლამენტმა თავი უნდა შეიკავოს წინასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო ცვლილებებისგან.

- **საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია**

საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის მიმართ ნდობის გაზრდის და პროცესში ჩართული პირებისათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, საქართველოს პარლამენტმა

უნდა განახორციელოს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დააზუსტებს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებულ მოთხოვნებს, გამორიცხავს საქართველოს მოქალაქეთა რაიმე სახის დისკრიმინაციას პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების კუთხით.

- **უნყებათაშორისი კომისია**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უნყებათაშორისი კომისიის მიმართ ნდობისა და მისი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ კომისიის წევრებმა მომავალში თავი შეიკავონ რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ/საინააღმდეგოდ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისგან, ასევე, უზრუნველყონ კომისიის სხდომების წარმართვა მაქსიმალურად კონსტრუქციულ გარემოში, რათა კომისიის სხდომები არ იქცეს პოლიტიკური დებატების ადგილად.

- **სახელმწიფო აუდიტის სამსახური**

საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობის კუთხით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, სახელმწიფო აუდიტის სამსახური იყოს თანმიმდევრული და ეფექტურად წარმართავდეს საკუთარ საქმიანობას. არსებული კანონის ფარგლებში უზრუნველყოფდეს დარღვევათა თაობაზე ინფორმაციის დროულად შესწავლა/დამუშავებას და დაუყოვნებლივ ახდენდეს შესაბამის რეაგირებას.

- **საარჩევნო ადმინისტრაცია**

საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესის შეცვლა, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი შეკითხვა საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და საარჩევნო პროცესის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, უნდა გატარდეს სისტემური საარჩევნო რეფორმა; საარჩევნო ადმინისტრაციაში არჩეულ/დანიშნულ უნდა იქნენ უპირატესად საარჩევნო გამოცდილების, ამ მიმართულებით მაღალკვალიფიციური და უმნიშვნელო წარსულის მქონე პირები; უახლოეს წარსულში კომისიაში პარტიების მიერ დანიშნული პირები არ უნდა იქნენ არჩეული პროფესიული ნიშნით, რათა მოიხსნას კითხვები მათი მუშაობის ობიექტურობასთან დაკავშირებით.

ასევე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცესკოს მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დამრღვევ პირთა შესახებ მონაცემთა ბაზის სრულყოფილი წარმოება და შეიქმნას საარჩევნო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის ეფექტური სისტემა, რათა მოხდეს მათ შორის ინფორმაციის დროული გაცვლა. შესაბამისად, ცესკოს ბაზა უნდა მუშაობდეს მუდმივი განახლებისა და სრულყოფის რეჟიმში.

- **კენჭისყრის დღე**

კენჭისყრის დღის ეფექტურად წარმართვის მიზნით, ვფიქრობთ, აუცილებელია გაგრძელდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, განსაკუთრებით, საარჩევნო დოკუმენტაციის შევსების წესებთან დაკავშირებით. არსებობს სპეციალური ტრენინგების ორგანიზების საჭიროება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებასთან დაკავშირებით. ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების სპეციალური წესის დადგენა. საჭიროა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიმართ კანონმდებლობით არსებული ჯარიმების წესის გადახედვა, მათი შემცირების მიზნით.

- **სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლება**

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მართებთ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა და ადმინისტრაციული რესურსის რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ გამოყენების შეზღუდვა. ასევე, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ წინასაარჩევნო პერიოდში ყოველგვარი საკადრო გადაადგილებისგან. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილი დარღვევების პრევენცია და მათზე დროული და ადეკვატური რეაგირება, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, სადაც შესაძლოა იკვეთებოდეს საჯარო მოხელეთა მხრიდან კანონშეუსაბამო ქმედებები.

მნიშვნელოვანია, სამართალდამცავმა უწყებებმა უზრუნველყონ წინასაარჩევნო შეხვედრებისა და ღონისძიებების მშვიდობიან და უსაფრთხო ვითარებაში ჩატარება, ასევე, ძალადობრივი აქტების ობიექტური, დროული, სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიება. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია თითოეული დარღვევის სწორი სამართლებრივი შეფასება და ადეკვატური პასუხისმგებლობის დაკისრება.

- **მედიაგარემო**

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ მედიას უკანონოდ ხელი არ ეშლებოდეს პროფესიულ საქმიანობაში, არამედ ისიც, რომ დროულად იქნეს გამოძიებული წარსულში მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტები და შესაბამისმა პირებმა პასუხი აგონ კანონის წინაშე.

- **პოლიტიკური გაერთიანებები**

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო სუბიექტებს მართებთ განსაკუთრებული შიდა დისციპლინის გამოვლენა, რათა მათმა მხარდამჭერებმა თავი შეიკავონ სხვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზების ხელშეშლისგან.